პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 214 (9990) | ხუთშაბათი, 9 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

ჩვენს დიად საშობლოში (1-ლი გვერდი).

ვ. მერკვილაძე. — მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში (მე-2 გვერდი).

ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება (მე-2 გვერდი).

ტექნიკური სიახლენი ფეხსაცმლის წარმოებაში (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-2 გვერდი).

შეუნელებელი ყურადღება მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას (მე-3 გვერდი).

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში (მე-3 გვერდი).

პ. ვინოკუროვი. — ბულგარელი ხალხი სოციალიზმის გზაზე (მე-3 გვერდი).

ბრიტანეთის ტრედ-უნიონების მზ-ე კონგრესს (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ლიტერატურის იდეურობისა და ოსტატობისათვის

ახლოვდება საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელიც, უეჭველია, დიდი მოვლენა იქნება საბჭოთა და საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში.

საბჭოთა ლიტერატურა, რომელსაც ბრძნულად და მზრუნველად წარმართავს კომუნისტური პარტია, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური ლიტერატურაა. თავისი არსებობის წლებში მან დიდ მწვერვალებს მიაღწია, შესანიშნავი შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვა.

საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესოთა იდგნენ ისეთი დიდი მწერლები, როგორიც იყვნენ გორკი და მაიაკოვსკი. ეს ლიტერატურა არის ეშმარიტად სრულიად საკავშირო — ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური. სსრ კავშირის თითქმის ყველა მოძმე ხალხის ლიტერატურამ მოგვცა მწერლები და წიგნები, რომლებიც ცნობილი გახდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას, რომელიც მართლად ასახავს საბჭოთა ადამიანების საქმეებსა და დღეებს, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იგი მგზნებარედ იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ. მისი კეთილშობილური იდეალები, მისი ჰუმანიზმი უპირდაპირდება გახრწნილ ბურჟუაზიულ კულტურას.

საბჭოთა ლიტერატურის ძალა იმაშია, რომ იგი განუყრელად დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან, რომ მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებისა. მისი მთავარი დანიშნულება ის არის, რომ დაეხმაროს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს აღზარდონ კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობები მხნე, თავის საქმეში დარწმუნებულნი, რომელთაც არ აშინებთ სიძნელეები, მზად არიან და უნარი შესწევთ გადალახონ ყოველი დაბრკოლება თავიანთი დიდი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

შემოქმედებითი წარმატებანი, რომლებსაც სიტყვის საბჭოთა ოსტატებმა მიაღწიეს, განპირობებულია იმით, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ ლიტერატურის პარტიულობის უფეშმდებელი ლენინური პრინციპით. თავისი განვითარების ყველა ეტაპზე საბჭოთა ლიტერატურა შეურიგებელად იბრძოდა უიდეობის, აპოლიტიკურობის, ფორმალისტურ სიმახინჯეთა, ნატურალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის გამოვლინებათა და ხალხისათვის უცხო სხვა რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენათა წინააღმდეგ.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპები, რომლებიც მკაფიოდ ჩამოყალიბებულია საბჭოთა მწერლების კავშირის წესდებაში, მოითხოვენ მხატვრისაგან სინამდვილისა და მისი რევოლუციური განვითარების მართალ, ისტორიულად კონკრეტულ ასახვას. ამასთან მხატვრული ასახვის სიმართლე და ისტორიული კონკრეტულობა შეხამებული უნდა იყოს სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელი ადამიანების იდეური გარდაქმნისა და აღზრდის ამოცანასთან.

სოციალისტური რეალიზმი მხატვარს უქმნის არაჩვეულებრივად ხელსაყრელ და ფართო შესაძლებლობებს შემოქმედებითი ინიციატივისათვის, სხვადასხვა ფორმის, სტილისა და ჟანრის გამოყენებისათვის. საბჭოთა ლიტერატურის პრინციპებისათვის უცხოა მკვდარი კანონები, ყველფერში ერთი ნიმუშის გამოყენება, მხატვრის ინდივიდუალობის წაშლა, შაბლონები, უბადრუკი მიმბაძველობა.

როგორც ცნობილია, XIX პარტიულ ყრილობაზე აღინიშნა, რომ, მიუხედავად ლიტერატურის განვითარების სერიოზული წარმატებებისა, ბევრი ნაწარმოების იდეურ-მხატვრული დონე ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალი არ არის, ჯერ კიდევ ბევრია მდარე, უფიერული, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ ხალტურული ნაწარმოები, რომლებიც ამახინჯებენ საბჭოთა სინამდვილეს. პარტია მოუწოდებს ჩვენს მწერლებს ზედმიწევნით შეისწავლონ ჩვენი ცხოვრება, შექმნან ჩვენი დიდი ხალხის შესაფერი მხატვრული ნაწარმოებნი.

პარტია მწერლების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს მხატვრული ოსტატობის პრობლემებს, ღრმად განსაზღვრავს ტიპიურობის მნიშვნელობას რეალისტურ ხელოვნებაში. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის უპირველესი მოვალეობაა დადებითი მხატვრული სახეებით გვიჩვენოს ახალი ტიპის ადამიანები, მათი ადამიანური ღირსების მთელი სიმშვენიერით, გამოავლინოს და გვიჩვენოს რიგითი ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები და მისი ხასიათის ტიპიური დადებითი ნიშნები, შექმნას მისი მკაფიო მხატვრული სახე, რომელიც ღირსი იქნება მაგალითი და მიბაძვის საგანი გახდეს ადამიანებისათვის. საბჭოთა მწერლების პასუხსაგები ამოცანაა გაბედულად ასახონ ცხოვრების წინააღმდეგობანი, უნარი ჰქონდეთ ისარგებლონ კრიტიკის იარაღით, როგორც აღზრდის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებით, სატირის ცეცხლით ამოსწვან ცხოვრებიდან ყოველივე უარყოფითი, დამპალი, მკვდარი — ყველაფერი ის, რაც აბრკოლებს წინსვლას.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის იდეურ-შემოქმედებითი პრინციპები ურღვევია. საჭიროა შეუნელებლად ვუფრთხილდებოდეთ და ვიცავდეთ მათ, გვახსოვდეს, რომ სოციალისტური იდეოლოგიის გავლენის ყოველგვარი შესუსტება ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის გაძლიერებას.

საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას სერიოზული ზიანი მიაყენა უკონფლიქტობის „თეორიის" ქადაგებამ, რომელიც იბრძოდა სინამდვილის შელამაზებისათვის, გვერდს უვლიდა რეალურს, ცხოვრების წინააღმდეგობებს. მარქსიზმის სულისკვეთებისათვის უცხო ეს „თეორია" ამხილა და დაგმო საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

სოციალისტური რეალიზმის განუხრელი კანონია ცხოვრების სიმართლის ასახვა მთელი მისი სისრულით, ცხოვრების რეალურ წინააღმდეგობათა, ძველთან, მომაკვდავთან ახლის, წარმოშობის პროცესში მყოფის შეურიგებელი ბრძოლის ასახვა.

უკანასკნელ ხანს ლიტერატურასა და ლიტერატურულ კრიტიკაში გაისმის იმ ადამიანთა ცალკეული ხმები, რომლებიც ნატურალისტურად იქექებიან წვრილმან ფაქტებში, აზვიადებენ და ტკბებიან ზოგიერთი სიძნელით, რაც ჩვენს გზაზე გვხვდება, ხოლო შედეგად ცილსა სწამებენ ჩვენს ცხოვრებას. მათს ნაწარმოებებში აისახა უცხო იდეოლოგიური გავლენა, ცდები გამოიყენონ გამოსახვის გარეგნული სიმწვავე ცხოვრების სიმართლის, ხელოვნების სიმართლის, მისი მაღალი მოქალაქეობრივი ამოცანების საზიანოდ.

ფაქტები ცხადყოფენ, რომ სოციალისტური რეალიზმიდან, ცხოვრების სიმართლიდან, პარტიულობის ლენინური პრინციპიდან გადახვევა იწვევს უხეშ შეცდომებს, შემოქმედება გადაჰყავს მანკიერ პოზიციებზე, ჩიხში აქცევს მხატვარს.

საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა მხურვალედ დაუჭიროს მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, მწერალთა გაბედულ შემოქმედებითს ჩანაფიქრს, ახალი ინდივიდუალური გზების ძიებას სოციალისტური რეალიზმის საერთო ნაკადში, მტკიცედ იბრძოდეს უცხო იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ. იმის ცდების წინააღმდეგ, რომ მოახდინონ საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი პრინციპების რევიზია.

ლიტერატურულ-კრიტიკული ძალების მუშაობის ორგანიზაციასა და სწორად წარმართვაში უდიდესი როლი უნდა ეკუთვნოდეთ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებს. მაგრამ ისინი ჯერჯერობით სუსტად არმოქმედენ თავს თავიანთ ამ პასუხსაგებ მოვალეობას. სერიოზული პოლიტიკური შეცდომები დაუშვა ჟურნალ „ნოვი მირის" სარედაქციო კოლეგიამ. ამ ჟურნალში გაჩოქვეყნდა მთელი რიგი სტატიები, რომლებიც შეიცავენ მცდარ და მავნე ტენდენციებს, დაისახა ხაზი, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის მითითებებს ლიტერატურის დარგში.

ჟურნალ „ნოვი მირში" შექმნილი მდგომარეობა ბევრად აიხსნება იმით, რომ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი და სამდივნო უკანასკნელ დრომდე არსებითად არ მუშობდნენ ამ ჟურნალის იდეური მიმართულების საკითხებზე. საბჭოთა ლიტერატურის იდეური მიმართულების საკითხები, ჩვენი მწერლების იდეოლოგიური აღზრდისა და მხატვრული ოსტატობის ზრდის საკითხები კი მთავარი იყო და არის მწერალთა კავშირისა და მისი ხელმძღვანელობის მთელ მოღვაწეობაში.

ახლანდელ პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება როლი საბჭოთა მწერლების კავშირისა როგორც ისეთი საზოგადოებრივი საბჭოური ორგანიზაციისა, რომელიც ეხმარება საბჭოთა მწერლებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქომუნისტურ მშენებლობაში, კომუნიზმის მშენებელთა მორალურ-პოლიტიკურ აღზრდაში, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევაში.

საბჭოთა მწერლების კავშირი სისტემატურად უნდა განიხილავდეს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და სრულყოფის ძირითად საკითხებს, განიხილავდეს ცალკეულ ნაწარმოებებს, ხელს უწყობდეს მწერალთა პოლიტიკურ და მხატვრულ ზრდას ამხანაგური კრიტიკით და ამხანაგური ახსნა-განმარტებით.

საბჭოთა მწერლების კავშირი მოწოდებულია სისტემატურად და დროზე ებრძოლოს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან გადახრას, ცდებს — ჩამოაშორონ საბჭოთა ლიტერატურა საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, იბრძოლოს დაცემულობის განწყობილებათა დანერგვის ცდების წინააღმდეგ. იგი მოწოდებულია წინააღმდეგობას უწევდეს მთელი იმ დადებითისათვის ხელაღებით, ნიჰილისტურად სახელის გატეხის ტენდენციებს, რაც საბჭოთა ლიტერატურაშ გაჩენილა.

მწერალთა რესპუბლიკურმა ყრილობებმა, რომლებიც უკანასკნელ თვეებში გაიმართა, ცხადყო, თუ როდენ მახლობელია ჩვენი ხალხისათვის ლიტერატურის ინტერესები. ყრილობებზე მწერლებთან ერთად გამოდიოდნენ ხელოვნების მოღვაწეები, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერების ადამიანები, ამ ყრილობებმა დააყენეს საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებიც ფართო განხილვის ღირსია.

ახლა სასარგებლოა სრულიად საკავშირო ყრილობამდე დარჩენილი დრო გამოყენებულ იქნას უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პრობლემების ღრმად და ვრცლად განხილვისათვის. აქ დიდი როლი უნდა შეასრულონ საბჭოთა მწერლების კავშირმა, მისმა ბეჭდვითმა ორგანოებმა — გაზეთებმა, ჟურნალებმა. სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ პრესას.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეური პოზიციები ურყევია. ჩვენი ლიტერატურა სახელოვან გამარჯვებებს იხვეჭდა და იხვეჭს კომუნისტური პარტიის დიადი იდეების დროშით, განუხრელად მიდის რა წინ სოციალისტური რეალიზმის გზით.

მის ახალ წარმატებათა საწინდარი იქნება ფართოდ განაღებული კრიტიკა და თვითკრიტიკა. მუდმივი და მედგარი ბრძოლა იდეური შინაარსის გაღრმავებისათვის, მხატვრული ოსტატობის სრულყოფისათვის.

საბჭოთა ლიტერატურის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა მწერალთა მთელი ძალების კონსოლიდაცია, ამხანაგური დახმარება ერთმანეთისადმი, ეულისხმიერი მხარდაჭერა შემოქმედებითი სიძნელეების დაძლევაში. მხოლოდ შეთანხმებული კოლექტიური ღონისძიებები დაეხმარება მწერლებს ღირსეულად უპასუხონ დიდი საბჭოთა ხალხის — კომუნიზმის მშენებელი ხალხის გაწყვეტლივ მზარდ სულიერ მოთხოვნებს. საბჭოთა მწერლებს აქვთ შესაძლებლობაც და ძალებიც, რათა პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალი ხალხის წინაშე.

„პრავდის" 8-IX მოწინავე.

ჩვენს დიად საშობლოში

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. საქართველოს სსრ პავილიონში. თელავის რაიონის მასწავლებელთა ჯგუფი უსმენს ექსკურსიამძღოლს.

ფოტო ი. ტორისა და მ. თელიაშვილისა.

★ ★

დღეს გამოფენაზე

1 სექტემბერს ერთი თვე შესრულდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის დღიდან. ერთი თვის მანძილზე გამოფენა ინახულა ორ მილიონზე მეტმა ადამიანმა, მათ რიცხვში 61.170 ექსკურსანტმა და 29.530 მონაწილემ, მრავალმა ათასმა სხვა სტუმარმა, მოსკოვის მცხოვრებმა. აქვე იყო საზღვარგარეთის 238 დელეგაცია. მაგრამ გამოფენისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ცალკეულ დღეებში მას 180 ათასამდე კაცი ნახულობს.

ყოველდღიურად მოსკოვში ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ათასობით ჩამოდიან გამოფენის მონაწილენი და ექსკურსანტები. ისინი დიდი ინტერესით ეცნობიან ზღაპრულ ქალაქ-ბაღს, მადლობის სიტყვებს წარმოთქვამენ ჩვენი არქიტექტორების, მხატვრების, ინჟინრების, მებაღეების, ჰიდროტექნიკოსების, ზეინკლების და ყველა იმათ მიმართ, რომლებმაც ხორცი შეასხეს ამ შესანიშნავ ქმნილებას.

ისევე, როგორც გამოფენის პირველ დღეებში, ბევრი ადამიანი ხვდება ერთმანეთს პავილიონებში და ღია საქმესპონტო ნაკვეთებზე ძველი ნაცნობ-მეგობრებივით. იმართება გულთბილი საუბრები იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთს აქ ჯერ კიდევ ომამდე ხვდებოდნენ. ბევრი მათგანი ერთმანეთს შეხვედრია კრემლის სასახლის დიდ დარბაზშიც.

გამოფენის მნახველებს საშუალება აქვთ უშუალოდ გაეცნონ კოსტრომის ოლქის განთქმული საბჭოთა მეურნეობის „კარავაევის" მწველავის ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ანა ივანეს ასულ სმირნოვას, ჩერკასკის ოლქის ზოლოტოპოლიეს რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" ცრობილ მწველავ ევდოკია ანტონის ასულ კირიჩენკოსა და ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ბევრი სხვა ნოვატორის შრომითს მიღწევებს. მშრომელები არა მარტო ისმენენ გამოფენის მონაწილეთა საუბრებს მათ მიერ მოპოვებულ წარმატებათა შესახებ, არამედ სოფლის მეურნეობის მოწინავენი აქ ჩამოსულთ სიამოვნებით უზიარებენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას.

ისევე, როგორც გამოფენის ბახსნის პირველ დღეებში, ამჟამადაც გამოფენის მნახველები დიდი გულისყურით ეცნობიან მაღალპროდუქტიული ძროხების, ახალი დაღისტანური ჯიშის ცხვრებისა და სხვ. მაჩვენებლებს.

არ შეიძლება უდიდესი ინტერესი არ გამოიწვიოს ტაჯიკეთის სსრ სტალინაბადის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის — ჩვეხი ქვეყნის მებამბეობის ერთ-ერთი მსხვილი კოლმეურნეობის მიღწევებმა, რომლებსაც ვეცნობით რესპუბლიკურ პავილიონში და „მებამბეობის" პავილიონში. გასულ წელს ამ კოლმეურნეობამ 3,345 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 36 ცენტნერი „თეთრი ოქრო". კარგად დაყენებული მრავალდარგოვანი მეურნეობის წლიურმა შემოსავალმა 44 მილიონი მანეთი შეადგინა. არტელის წევრებმა ვალდებულება იკისრეს წელს უფრო გაზარდონ კოლმეურნეობის შემოსავალი წამყვანი კულტურის — ბამბის მოსავლიანობის ამაღლების საფუძველზე. საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერ ბამბას მოკრეფენ.

და რამდენი ასეთი მოწინავე მეურნეობა, ბრიგადა, რგოლი, ცალკეული ადამიანი ექსპონირებული გამოფენაზე, რომლებიც თავიანთი ნოვატორული ძიებით წინ სწევენ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას!

როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრი მნახველი ჰყავს საქართველოს სსრ პავილიონს. გასულ თვეში საქართველოს პავილიონი ინახულა სულ ცოტა მილიონნახევარმა კაცმა — საუკეთესო მემნდვრეებმა, მეცხოველეებმა, მეენთანოტორებმა, მებაღეებმა, მეცნიერების ადამიანებმა. აქ იყვნენ მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, შემოქმედნი უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა, რომლითაც სამშობლომ ასე გულუხვად შეიარაღა სოფელი. გამოფენა დაათვალიერეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ანარეტის ბევრმა მოსამსახურემ, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებმა, მატროსებმა, ოფიცრებმა, გენერლებმა, ადმირალებმა, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენი ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას. აქ იყო ბევრი სტუდენტი და მოსწავლე, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მრავალი ადამიანი.

აი გამოფენის ერთ-ერთი ჩვეულებრივი დღე. მარტო ამ ერთ დღეს პავილიონში იყვნენ სტუმრები ყაზახეთის სს რესპუბლიკიდან, ყაბარდოს ასსრ, კომის ასსრ, ბელგოროდის, ტუმენის, ვორონეჟის, სარატოვის, სმოლენსკის, ჩკალოვისა და მოსკოვის ოლქებიდან, დედაქალაქის — მოსკოვის მშრომელები, მცხეთისა და დუშეთის რაიონების წარმოგზავნილები, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის კურსანტები, ორდონეზიის დელეგაცია... და ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმ ათეულ ათასობით ადამიანთაგან, რომლებმაც ამ დღეს დაათვალიერეს საქართველოს სსრ პავილიონი.

სტუმრები ჩერდებიან დიდ სტენდთან, რომელზეც წარმოდგენილია საბჭოთა საქართველოს წიაღის სამდიდრენი. რა არ არის აქ! ძვირფასი ჯიშების ხის მრავალი ნიმუში, მინერალთა ბევრი სახე და უამრავი სხვა რამ, რაც საქართველოში მოიპოვება და რაც ასე აუცილებელია ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ადამიანებისათვის. მნახველები ჩერდებიან მარმარილოს სხვადასხვა საბადოთა ნიმუშებთან, ფიქრობენ, ხომ არ უნახავთ ბევრი მათგანი მოსკოვის საუკეთესო შენობებსა და ნაგებობებზე? და იქვე თვითონვე აგონდებათ, რომ ეს მარმარილო ცოტა როდია დედაქალაქის მეტროში, მეცნიერების სასახლის შენობაში ლენინის გორაზე მოსკოვში, ლენინგრადის, კიევისა და ჩვენი ქვეყნის სხვა მსხვილი ცენტრების ახალ ლამაზ სახლებში. იქვეა მთის ბროლის, ბარიტის, ლიტოპონის, დარიშხანის, მარგანეცის, ქვანახშირის, ბუნებრივი საღებავების, ტუფის ნიმუშები.

გამოფენის სტუმრები კმაყოფილებით ათვალიერებენ ცოცხალ ნატურალურ ექსპონატებს. დღეს ტერიტორიულად შორეული საქართველოდან დედაქალაქში გამოფენაზე მაჩვენებელი დიდი პარტია ახალი ექსპონატებისა, რომელთაც საამო სურნელი მოჰფინეს პავილიონის დარბაზებს. გაკვირვებას იწვევს კახეთისა და ბორჩალოს დიდი (წონით 25 კილოგრამამდე) საზამთრო, განთქმული გორული ატამი, სხვადასხვა ჯიშის ვაშლი, ქლიავი, მსხალი, ყურძენი „მასლა", ჩურჩხელები...

მოდის ხალხის სულ ახალ-ახალი ნაკადი. მოდიან საბჭოთა ადამიანები და ამაყობენ იმით, რასაც აქ ხედავენ.

დღეს ჩვენ გვინდა დავამთავროთ კორესპონდენცია გამოფენის ერთ-ერთი გორკელი სტუმრის ამს. ბორისოგლებსკის სიტყვებით. ინახულა რა პავილიონი, მან შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „აი სად არის ნამდვილი „ალუბლის ბაღი". მხოლოდ ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში საქართველო აყვავებული რესპუბლიკა გახდა. მადლობა კომუნისტურ პარტიას ასეთი საქართველოსათვის".

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

★

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რიგებიდან იმ სამხედრო მოსამსახურეთა განთავისუფლების შესახებ, რომლებმაც სამსახურის დაწესებული ვადები დაამთავრეს, და საბჭოთა არმიაში მორიგი გაწვევის შესახებ

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 160.

1954 წლის 8 სექტემბერი. ქ. მოსკოვი.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. განთავისუფლდეს საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან თადარიგში ჯარისკაცები, მატროსები, სერჟანტები და ზემდეგები, რომლებმაც დაამთავრეს ნამდვილი სამხედრო სამსახური კანონით დაწესებული ვადები.

2. ამ ბრძანების I პუნქტში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეთა განთავისუფლებასთან დაკავშირებით გაწვეულ იქნენ საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ სამხედრო სამსახურში 1935 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომლებსაც არა აქვთ შეღავათის უფლება და გაწვევის გადავადება, აგრეთვე გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებსაც გაუვიდათ გაწვევის გადავადება და რომელთა ტოლნი გადიან ნამდვილ სამხედრო სამსახურს.

3. ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ესკადრონში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი
ნ. ა. ბულგანინი.

საბჭოთა ორთქლის ჯურგინების მშენებლობის 30 წელი

ლენინგრადი, 7 სექტემბერი. (საკდესი). წელს შესრულდა 30 წელი მას შემდეგ, რაც სტალინის სახელობის ლითონის ქარხნის კოლექტივმა გამოუშვა ორი ათასი კილოვატი სიმძლავრის პირველი საბჭოთა ორთქლის ტურბინი. ამ პერიოდში ლენინგრადელმა მელითონეებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს პირველხარისხოვანი ორთქლის ტურბინების ტექნიკის შექმნაში.

აქ აგებულია 25-დან 100 ათასამდე კილოვატი სიმძლავრის მაღალი წნევის ორთქლის ტურბინები. ორი წლის წინათ ინჟინრებმა და მუშებმა შექმნეს 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინი.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე დიდდება ტურბინმშენებელთა შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, წელს ორთქლის ტურბინის საამქროს მუშათა საშუალო თვიური გამომუშავება 10 პროცენტით აღემატება დაგეგმილს. 100 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინების წარმოების ციკლი შარშანდელთან შედარებით შემცირებულია ერთი თვით.

ახალი საწარმოები

კოლომნა (მოსკოვის ოლქი), 7 სექტემბერი. (საკდესი). აქ შენდება რკინიბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების დიდი ქარხანა. საწარმო წელიწადში გამოუშვებს 100 ათას კვადრატულ მეტრ ასაწყობ დეტალებს სახლებისა უკარკასო მშენებლობისათვის და 5 ათას კუბურ მეტრ ბეტონს.

* * *

სტალინაბადი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ქალაქში შენდება მექანიზებული სამკერვალო ფაბრიკა სამასი საკერავი მანქანით. მისი წლიური წარმადობა რვაასი ათასამდე სხვადასხვა ნაწარმი იქნება.

* * *

ჩარჯოუ, 7 სექტემბერი. (საკდესი). ქალაქის სამხრეთ განაპირას დაიწყო რძისა და ერმო-კარაქის ქარხნის მშენებლობა. იგი წელიწადში გამოიმუშავებს ხუთას ტონა რძეს, კარაქს, ნაყინს, ყველს და რძის სხვა პროდუქტებს.

ახალი წიგნები მოწინავე გამოცდილებაზე

რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის მთავარმა სამმართველომ დაიწყო საბჭოთა მეურნეობების წარმოების მოწინავეთა — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა ბროშურების სერიის გამოშვება. გამოვიდა პირველი ოთხი წიგნი. ჩკალოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „კრასნოგვარდეეცის" მერგოლური მ. შარიკოვა ლაპარაკობს საკვები ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანაზე. ამავე ოლქის კომინტერნის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მწველავი გ. დავლიატჩინა მკითხველებს უზიარებს ძროხის წველის გამოცდილებას. ორ სხვა ბროშურაში მოთავსებულია საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა სტატიები თივის აღებისა და საკვების დასილოსების კომპლექსურ მექანიზაციის, აგრეთვე კალოებზე მარცვლის დამუშავების კომპლექსურ მექანიზაციის შესახებ.

წარმოებაშია კიდევ მთელი რიგი ბროშურები. (საკდესი).

წარუშლელი შთაბეჭდილებანი

ამას წინათ ექსკურსიაზე ვიყავი მოსკოვში და შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მრავალსმეტყველ სტენდებსა და ექსპონატებს.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა გამოფენის მთავარმა პავილიონმა, სადაც წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის 16 მოძმე რესპუბლიკის ყველაზე საუკეთესო ექსპონატები.

მოუთმენლად მიმიწევდა გული საქართველოს სსრ პავილიონისაკენ, რომელიც მნახველებს იზიდავს თავისი გარეგნული უბრალოებითა და სისადავით. პავილიონის წინ აღმართულია პალმა, რომლის ტოტებქვეშ მუდამ დგანან დამთვალიერებელთა ჯგუფები სურათების გადასაღებად. პავილიონის შესასვლელის პირდაპირ მარჯვენა მხარეს ტილოზე დახატულია დიდი სტალინის პორტრეტი, ხოლო მარცხნივ — სტალინის ბავშვობისა და რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისის ამსახველი ბანალები.

დიდი გულისყურით დავათვალიერე მთელი რიგი ექსპონატები, მათ შორის წინანდელის ლენინის ორდენოსანი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ექსპონატები. გავეცანი მეურნეობის გამოჩენილ ადამიანებს.

ყურადღებას იპყრობს ოჩამჩირის სტალინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მაჩვენებლები მეჩაიეობის განვითარების საქმეში, თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის" მიღწევები მევენახეობაში, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეკამეჩეობის ფერმის, გარეუბნის რაიონის სოფელ ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის წარმატებები.

პავილიონს აქვს ციტრუსების ორანჟერია. სწორედ ეს მხხმოიარე ციტრუსები იზიდავს დიდძალ ხალხს.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენს რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის სსრ პავილიონები.

მეცხოველეობის პავილიონში საინტერესოა კოსტრომის ჯიშის ძროხები, ახალი ქართული ჯიშის ცხვრები. ექსკურსიამძღოლები დაწვრილებით განგვიმარტავდნენ პირუტყვის მოვლის, კვების წესებს და მოწინავეთა მიღწევებს ეზებს.

მეაბრეშუმეობის პავილიონში შესვლისთანავე თვალში მეცა ქართველ მეაბრეშუმეთა პორტრეტები. ცენტრში მოთავსებულია სტალინური პრემიის ლაურეატის ოსანა ივანეზაშვილის დიდი პორტრეტი. აქვეა ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნარის" მერგოლური კ. ლომიძის, ახმეტის რაიონის ქისტაურის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეობის მერგოლურის ნ. დურგლიშვილისა და სხვათა პორტრეტები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მახარაძის რაიონის და თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ მეჩურჩილელთა მიღწევები.

მ. ცაკაშვილი,
თელავის მე-4 საშუალო სკოლის მასწავლებელი.

მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში

წელს პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობა ყველგან — როგორც ქალაქად, ისე სოფლად—იწყება 1 ოქტომბერს. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო, რათა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უნდა მიმდინარეობდეს მეცადინეობის ხარისხის შემდგომი ამაღლების, პოლიტიკური ცოდნისადმი კომუნისტების ცოცხალი ინტერესის გაძლიერების, პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკიდან ფორმალიზმის, მედავითნეობის განდევნისა და პოლიტიკურ სწავლებაში ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევის შემთხვევების საბოლოოდ აღმოფხვრის ნიშნით.

პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას გასული სასწავლო წლის შეცდომები და ნაკლოვანებანი. გადაჭრით უნდა აღმოფხვრათ ისეთი შემთხვევები, როცა მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები კომუნისტების სწავლებას ფორმალურ-ბიუროკრატიულად უდგებოდნენ, წრეებსა და პოლიტსკოლებში მსმენელები შეჰყავდათ მათი თეორიული დონისა და პირადი სურვილის გაუთვალისწინებლად. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი პარტორგანიზაციის მდგომარეობა მთელ რიგ შემთხვევებში დაინტერესებული იყვნენ არა იმით, თუ როგორ მეცადინეობდა კომუნისტი, როგორ იზრდებოდა იგი იდეურად, არამედ იმით, რომ ირიცხებოდა თუ არა იგი პარტიული განათლების ქსელის რომელიმე რგოლში. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ამ ბიუროკრატიული პრინციპით შექმნილი წრეები ჩვეულებრივად მუშაობენ ცუდად, მსმენელთა დასწრება მეცადინეობაზე მოვალეობის მოხდად არის გადაქცეული.

პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის შინაარსის არსებითი გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია პირადად ვესაუბროთ თვითეულ კომუნისტს, ყოველმხრივ შევისწავლოთ მათი იდეურ-თეორიული მოთხოვნები და ნებაყოფლობითი პრინციპის ზუსტად დაცვის საფუძველზე განვსაზღვროთ, რომელი კომუნისტი პარტიული განათლების რომელ ფორმაში იმეცადინებს ახალ სასწავლო წელს. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ნებაყოფლობითი პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელება გამოიწვევს იმას, რომ ახალი სასწავლო წლისათვის არავინ არ მოისურვებს წრეებში ან პოლიტსკოლებში მეცადინეობას და ამის გამო პარტიული განათლების ქსელი დაიშლება ან, ყოველ შემთხვევაში, მისი მუშაობა მეტისმეტად გაუარესდება. ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, სწორი არ არის.

პარტიული განათლების სისტემაში ნებაყოფლობითი პრინციპი ემყარება ჩვენი პარტიის პროპაგანდისტული მუშაობის მრავალი წლის გამოცდილებას. მაგრამ ნებაყოფლობითი პრინციპი როდი ნიშნავს სწავლების ორგანიზებულ ფორმებზე ხელის აღებას. საქმე ის არის, რომ ყველა კომუნისტს ჯერ კიდევ არა აქვს ცოდნის აუცილებელი მინიმუმი. მათ უთუოდ ესაჭიროებათ დახმარება პროპაგანდისტების მხრივ. ამიტომ ასეთი ამხანაგების წრეებსა და პოლიტსკოლებში გაერთიანება მიზანშეწონილია.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა აწარმოონ კომუნისტებთან სისტემატური ახსნა-განმარტებითი მუშაობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების აუცილებლობის შესახებ. ნებაყოფლობითი პრინციპის განხორციელება კი არ ამცირებს კომუნისტების პასუხისმგებლობას, როგორც ეს ზოგიერთ ამხანაგს ჰგონია, არამედ ავალებს მათ პარტიის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად სისტემატურად მუშაობდნენ თავიანთი თეორიული დონის ასამაღლებლად.

კომუნისტური პარტიის წესდებით პარტიულ ორგანიზაციებს ეკისრებათ არა მარტო მოაწყონ კომუნისტების პოლიტიკური განათლება, არამედ განახორციელონ კონტროლი მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ცოდნის მინიმუმის შეთვისებისადმი. აქ საჭიროა მხოლოდ ბოლო მოვუღოთ ამ კონტროლის ბიუროკრატიულ ფორმებს, პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკაში აღმოვფხვრათ ფორმალიზმი და სხვა მახინჯი მოვლენები.

წრეებისა და პოლიტსკოლების დაკომპლექტებისას პარტიული ორგანიზაციები უბრალო რეგისტრატორის როლში კი არ უნდა გამოვიდნენ, არამედ შემოქმედებითად უნდა მიუდგნენ ამ საქმეს. ინგლისში უნდა გაეწოს იმის, რომ უანასკნელ წლებში ბევრმა კომუნისტმა წარმატებით დაამთავრა პოლიტსკოლები და წრეები. იმ კომუნისტთა მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებმაც წრეებში შეითვისეს პოლიტიკური ცოდნის საჭირო მინიმუმი, ახლა არ ესაჭიროება სწავლების სავალდებულო რეგლამენტაცია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ უკვე აღარ სჭირდებათ მეცადინეობა თავიანთი თეორიული დონის ასამაღლებლად. აქ საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ საჭირო არ არის მათი სწავლების სავალდებულო რეგლამენტაცია, რადგან მათ თავისუფლად შეუძლიათ აიმაღლონ პოლიტიკური მომზადების დონე პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებლად კითხვით. ყველა ეს მომენტი გათვალისწინებულ უნდა იქნას ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისას.

პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტება ხანგრძლივ, გულდასმით მუშაობას მოითხოვს. ამ საქმისადმი ზერელე მიდგომა იწვევს დიდ შეცდომებს, რომელთა გამოსწორება შემდეგში გაცილებით ძნელი ხდება. ამიტომ წრეებისა და პოლიტსკოლების დასაკომპლექტებლად ამთავითვე უნდა გავაჩაღოთ მუშაობა, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომები. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ნაჩქარევად შექმნილ წრეებსა და სკოლებში დაბალია მეცადინეობის ხარისხი, ნაკლებია მსმენელთა აქტივობა და შესასწავლი მასალის შეთვისება.

პარტიული განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ პოლიტსკოლებს, სადაც კომუნისტები და უპარტიო აქტივისტები ეუფლებიან პოლიტიკური ცოდნის მინიმუმს და იმუშავებენ პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებლად კითხვის ჩვევებს. ახალი სასწავლო წლიდან უნდა შეიქმნას უმთავრესად პოლიტსკოლები და პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრეები, რათა კომუნისტებმა პირველ რიგში შეითვისონ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები „მოკლე კურსის“ მოცულობის ან „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად“ გამოცემული სახელმძღვანელოს მიხედვით.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების, ისევე ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეების შექმნა, თუ ამას მოითხოვს კომუნისტთა გარკვეული ნაწილი და თუ შესაბამის პარტიულ კომიტეტს შესაძლებლობა აქვს უზრუნველყოს ისინი მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტებით.

გასულ სასწავლო წელს სწორედ ამ მხრივ იყო ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევის შემთხვევები. პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის, პოლიტიკური ეკონომიისა და ფილოსოფიის შემსწავლელი წრეები ხშირად მხოლოდ იმ ნიშნის მიხედვით იქმნებოდა, რომ მათში გაერთიანებულმა კომუნისტებმა წინათ გაიარეს სწავლების სხვა ფორმები, ან კიდევ იმის გამო, რომ მაღალი ტიპის წრეების გარკვეული რაოდენობის არსებობა საჭიროდ იყო მიჩნეული. საქმისადმი მხოლოდ ასეთი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომით აიხსნება ის ფაქტი, რომ გასულ სასწავლო წელს მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სადაც საკმაო რაოდენობით არ არის მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტები, შექმნეს პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი წრეები. მაგალითად, ბორჯომის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი იყო პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი 18 წრე, მაშინ როცა ქ. თბილისში ასეთი ტიპის სულ 16 წრე არსებობდა.

ასევე ფორმალურად იყო შექმნილი პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი 9 წრე ქარელის რაიონში, პარტიის ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის 13 წრე და 23 თეორიული სემინარი ჩოხატაურის რაიონში და სხვ.

მოსალოდნელი იყო, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითების საფუძველზე პარტიული ორგანიზაციები დაშლიდნენ ნებაყოფლობითი პრინციპის აშკარად დარღვევის საფუძველზე შექმნილ არასიცოცხლისუნარიან წრეებს. მაგრამ ბევრი პარტიული ორგანიზაცია ასე არ მოიქცა და შეეცადა წლის ბოლომდე შეენარჩუნებინა პარტიული განათლების ეს მეტისმეტად გაბერილი ქსელი. უფრო მეტიც, ამბროლაურის, გარდაბნის, მახარაძის, გეგეჭკორის, ლენტეხის, ხობის და სხვა რაიონებში სასწავლო წლის ბოლოს უფრო მეტი წრე და პოლიტსკოლა აღმოჩნდა, ვიდრე ეს სასწავლო წლის დასაწყისში იყო.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ პარტიული კომიტეტებისა და პროპაგანდის დარგში მომუშავე ამხანაგების ერთ ნაწილს გარკვევით არა აქვს წარმოდგენილი პარტიული პროპაგანდის ძირითადი ამოცანა. ამოცანა ის არის, რომ დავეხმაროთ კომუნისტებს, რათა მათ შეძლონ მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში ცოდნის მინიმუმის დაუფლება პარტიის ისტორიის „მოკლე კურსის“ ფარგლებში და „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად“ გამოცემული სახელმძღვანელოს მოცულობით. ეს საშუალებას მისცემს კომუნისტებს გაიგონ პარტიის პოლიტიკა, თავისუფლად გაერკვნენ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებაში და შეძლონ საქმის ცოდნით იბრძოლონ პარტიის პოლიტიკის განსატარებლად. პროპაგანდისტული მუშაობის მთავარი ამოცანაა მოვამზადოთ კომუნისტები პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებლად კითხვისათვის, აღვუძრათ მათ თვითგანათლების სურვილი.

მაგრამ მარტო დაკომპლექტება საქმეს ვერ უშველის. წრე შეიძლება კარგად იყოს დაკომპლექტებული, მაგრამ მისი მუშაობა ჩასაშლელად იყოს განწირული, თუ ხელმძღვანელად შერჩეული არ არის მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტი. ისევე როგორც ყოველ საქმის წარმატებას კადრები წყვეტენ, აქაც პარტიული განათლების მთელ საქმეს წყვეტენ პროპაგანდისტთა კადრები — ლექტორები, კონსულტანტები. მაშასადამე, პარტიული პროპაგანდის იდეური დონის შემდგომი ამაღლება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა კადრებზე, მათს თეორიულ მომზადებასა და მეთოდურ დახელოვნებაზე. ამიტომ გულდასმით უნდა შევარჩიოთ პროპაგანდისტები თეორიულად კარგად მომზადებული, მარქსისტულად გამოწრთობილი კომუნისტებისაგან, რომლებსაც პროპაგანდისტული მუშაობისადმი მიდრეკილებაც აქვთ და უნარი შესწევთ უზრუნველყონ მეცადინეობის მაღალი ხარისხი.

პროპაგანდისტი უნდა დაეხმაროს მსმენელებს დამოუკიდებლად აზროვნების ჩვევების გამომუშავებაში, მიაღწიოს იმას, რომ კომუნისტები ღრმად ითვისებდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის არსს. ეს მოითხოვს თვით პროპაგანდისტის თეორიული მომზადებისა და მეთოდური დახელოვნების განუხრელ ამაღლებას. მაგრამ თეორიულად კარგად მომზადებული ყველა კომუნისტი როდი გამოდგება პროპაგანდისტად. პრინციპულად მტკიცე და უნარიანი პროპაგანდისტი რომ იყო, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — „საჭიროა ბევრი ისწავლო და გამოცდილება შეიძინო...“

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ამ თვალსაზრისით ვერ უდგება პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას. ამიტომ წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელად ხშირად ვხვდებით ნაკლებად მომზადებულ ამხანაგებს, რომლებიც თეორიული საკითხების გაშუქებას უდგებიან დოგმატურად, მედავითნურად. ბევრი პროპაგანდისტი მეცადინეობას წარმართავს კითხვა-პასუხის სკოლარული მეთოდით, თეორიულ დებულებებს ხშირად განმარტავს კონკრეტული ისტორიული ვითარებისაგან, პარტიის ძირითადი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტით.

ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ახლანდელ მომენტში კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხი დარაზმა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდების ამოცანების განსახორციელებლად, რათა ყოველმხრივ დაკმაყოფილებულ იქნას ჩვენი ხალხის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. ადგილებზე შემოწმებამ ცხადყო, რომ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტულ მუშაობაში სოფლის მეურნეობის საკითხები სათანადოდ ვერ შუქდება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების დადგენილების თვითეულ კოლმეურნისათვის, მტს-ის თვითეული მუშაკისათვის გასაცნობად წარმოებული პროპაგანდისტული მუშაობა არათანმიმდევრული, ზერელეა და ხშირ შემთხვევაში კამპანიურ ხასიათს ატარებს. ამ ნაკლის აღმოფხვრაში ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ ჩვენს პროპაგანდისტულ კადრებს.

ცნობილია, რომ პროპაგანდისტთა თეორიული და მეთოდური მომზადების ძირითად ფორმას მუდმივმოქმედი სემინარი წარმოადგენს. მისი სასწავლო-მეთოდური მუშაობის სწორ ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცადინეობის ხარისხის ამაღლებისათვის. სემინარი პროპაგანდისტთა შემოქმედებითი მუშაობის ცენტრად უნდა გადავაქციოთ. აქ მეცადინეობა უნდა ამართებდეს პროპაგანდისტებისათვის საჭირო და საინტერესო თემებზე, ვინაიდან ეს სემინარები მთელი რიგი წლების განძვრ-ზე არსებობენ და პროპაგანდისტებს უხდებათ ერთი და იმავე მასალის რამდენჯერმე გაეცა, საჭირო არ არის პროპაგანდისტებს თავს მოვახვიოთ ყველა იმ საკითხის შესწავლა, რომლებიც მათ უნდა განმარტონ წრეებსა და პოლიტსკოლებში. სემინარებზე უნდა ეწყობოდეს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ლექციები, პროპაგანდისტებს უნდა აცნობდნენ ამა თუ იმ კოლმეურნეობის, მტს-ის, საწარმოს წინაშე მდგომ ამოცანებს, უნდა ეწყობოდეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების გამოსვლები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების შესწავლა და სხვ.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების ფართო პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტული მუშაობის უმნიშვნელოვანესი საქმეა. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის საუკეთესო მიღწევები.

პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანაა არა ზერელედ, ზოგადად გავაცნოთ მშრომელებს ნოვატორთა გამოცდილება, არამედ ფართოდ გავაშუქოთ, თუ როგორ იქნა მიღწეული საუკეთესო შედეგები, ვუჩვენოთ ამ წარმატებათა მიღწევის გზები. მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა უსაგნო კი არ უნდა იყოს, არამედ მიზანდასახული, ქმედითი, რათა აქედან ადამიანმა შეძლოს მიიღოს ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ პრაქტიკულად ნოვატორთა გამოცდილება.

იმისათვის, რომ წარმატებით გაართვან თავი თავიანთ წინაშე მდგომ უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანას, საჭიროა თვით პროპაგანდისტები პრაქტიკულად ერკვეოდნენ თანამედროვე საბჭოთა-სამეურნეო წარმოების ძირითად საკითხებში. ამ მიზნით სასურველია პროპაგანდისტები სემინარებზე სწავლობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად საკითხებს.

კომუნისტების სწავლებაში ნებაყოფლობითი პრინციპის გატარებამ მნიშვნელოვნად გაადიდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა რაოდენობა. საჭირო არ არის ხელოვნურად ვქმნიდეთ მაღალი ტიპის წრეებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა პარტიულ კომიტეტებს შესაძლებლობა არა აქვთ უზრუნველყონ ასეთი წრეები მომზადებული ხელმძღვანელებით. მარქსისტულ-ლენინურ თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად საჭიროა ფართოდ დავნერგოთ თეორიული და მეთოდური დახმარების ისეთი ფორმები, როგორიც არის ლექციები, კონსულტაციები, ბეჭდვითი პროპაგანდა და სხვ.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს პარტიული კომიტეტების ლექტორთა შემადგენლობა და ამაღლდეს მათი თეორიული დონე. ბოლო უნდა მოვუღოთ ლექციური პროპაგანდის შეუფასებლობას, ძირფესვიანად გავუმჯობესოთ ლექციების ხარისხი.

გასული სასწავლო წლის გამოცდილება ცხადყოფს, რომ კომუნისტების დამოუკიდებლად მეცადინეობის საქმეში არსებობს ფორმალიზმი და ბიუროკრატიული დამახინჯებანი. მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტების დამოუკიდებლად მუშაობა თითქმის არ განსხვავდებოდა წრეებში მეცადინეობისაგან. ბევრგან პარტბიუროები კონსულტანტებს იყენებდნენ კომუნისტების მიერ წიგნზე მუშაობის საქმისადმი კონტროლის გასაწევად. ისინი თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვდნენ პოლიტიკური ლიტერატურის კითხვის ინდივიდუალურ გეგმას. ამ ფორმალური ცნობებისა და აღრიცხვისადმი გამოდევნების შედეგად ნამდვილი საკონსულტაციო და განსაკუთრებით საგეგმო მუშაობა შესუსტებული იყო.

პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებლად შემსწავლელთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მუშაობა კი არ უნდა შესუსტდეს, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს.

ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნით პარტიული კომიტეტების ბიბლიოთეკებს, ისინი მარტო ლიტერატურის გაცემით კი არ უნდა დაკმაყოფილდნენ, როგორც ეს ხშირად ხდება, არამედ დამოუკიდებლად მუშაობაში კომუნისტების დახმარების ნამდვილი ცენტრები უნდა გახდნენ. მათ ხელი უნდა შეუწყონ კომუნისტთა დამოუკიდებლად მუშაობას ლიტერატურის შერჩევით, ბიბლიოგრაფიული ცნობების შედგენით და სხვ. ამ ბიბლიოთეკებში დაწესებულ უნდა იქნას კარგად მომზადებული კომუნისტების მუდმივი მორიგეობა, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ დამოუკიდებლად მომუშავეებს.

დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტი შეიძლება სწავლობდეს ჩვენი პარტიის ისტორიის „მოკლე კურსს“ ან სახელმძღვანელოს, რომელიც გამოცემულია „პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად“. ამიტომ მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები აუცილებლად უნდა სწავლობდნენ მხოლოდ და მხოლოდ პირველწყაროებს, ცალკეულ ნაწარმოებებს.

სწორედ ახლა, როცა პარტიული განათლების მთელი სისტემა აგებულია ნებაყოფლობითი პრინციპის საფუძველზე, პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესება შესაძლებელია მიღწეულ იქნას მხოლოდ მისი ხარისხის მკვეთრი ამაღლების გზით. ამ ამოცანის განხორციელება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს კომუნისტების პოლიტიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობის მნიშვნელოვნად გაძლიერებას.

ვ. მერკვილაძე,
საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე.



მახარაძე. აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა რვა თვის გეგმა 27 აგვისტოსათვის შეასრულა და ხახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 1.606.300 მანეთის პროდუქცია ჩააბარა. **სურათზე:** საგრეხი საამქროს ხედი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება

ბათუმი.(საკ. კორ.). ქალაქის საწარმოებში ფართოდ ჩაღდება ტრადიციული წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ფაბრიკა-ქარხნებში და ახალშენებლობებზე მოეწყო მუშამოსამსახურეთა საერთო კრებები, რომლებზეც საწარმოთა კოლექტივებმა ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად.

ამ დღეებში მიქოიანის სახელობის ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღინიშნოს ოქტომბრის დღესასწაული. მან ვალდებულება აიღო და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკა.

ბათუმელ მეთამბაქოეთა ვალდებულება ითვალისწინებს მიმდინარე წლის გეგმის 18 დეკემბრისათვის შესრულებას, პროდუქციის თვითღირებულების 2 პროცენტით შემცირებას და ნედლეულისა და მასალების საგრძნობ ეკონომიას.

უკვე გაჩაღდა მუშაობა აღებულ ვალდებულებათა გასანაღებლად. აგვისტოს დავალება შესრულებულია 106,7 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 8,5 მილიონი ცალი მაღალხარისხოვანი პაპიროსი. ფაბრიკის კოლექტივი მაღალნაყოფიერად მუშაობს სექტემბერშიც.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ქალაქის სხვა სამრეწველო საწარმოთა მუშებიც — მენავთობეები, მანქანათმშენებლები, მეტყვეები, მეფეხსაცმელეები.

ტექნიკური სიახლენი ფეხსაცმლის წარმოებაში

ქუთაისი, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი შარშანდელთან შედარებით 38 პროცენტით ადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

მეფეხსაცმელეები წარმატებით იბრძვიან გადიდებული დავალების რეალიზაციისათვის. აქ აღწევენ შინაარსურსების უფრო სრულ გამოყენებას, არსებული საწარმოო ფართობიდან უფრო მეტი პროდუქციის გამოშვებას.

მასობრივი კერვის საამქროში მოეწყო კონვეიერი, განხორციელდა მექანიზაცია გაკრიალების უბანზე. საამქროში დამატებით დაიდგა ძირის გამოსაკერებელი მანქანები. მთლიანად მექანიზებულია საპირის დამზადების საამქრო.

პროდუქციის გამოშვების გადიდებას ხელი შეუწყო აგრეთვე ტექნიკურ სიახლეთა დანერგვამ. ინჟინერ გ. ჯანაშიას წინადადებით მანქანა „იდეალზე“ მოეწყო ახალი ტვიფრი, რამაც ერთიორად გაადიდა პროდუქციის გამოშვება და ყოველწლიურად 164 ათასი მანეთის ეკონომიას იძლევა. მექანიკოს შ. ნიკურაძის წინადადებით ნამზადში რგოლების ხელით ჩასმა შეიცვალა მანქანით. ამან გაადიდა პროდუქციის გამოშვება და გაუმჯობესა მისი ხარისხი.

ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებამ საშუალება მისცა კომბინატის კოლექტივს ყოველდღიურად დაამზადოს 500 წყვილით მეტი ფეხსაცმელი, ვიდრე შარშან.

ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ტყავის ქარხნის საწარმოო სიმძლავრის გადიდებისათვის, იდგმება ტყავის სათლელი, საწნეხი მანქანები და სხვა მექანიზმები. — რეკონსტრუქციის განხორციელების შემდეგ კომბინატი მილიონი დეციმეტრით გაადიდებს ტყავის დამზადებას. (საქდესი).

შეფები ეხმარებიან კოლმეურნეობებს

ტყიბულის შახტები და სხვა საწარმოები ქმედითი დახმარებას უწევენ თავიანთ სამეფო კოლმეურნეობებს, ეხმარებიან მათ საშენი მასალების მიწოდებით, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებით, ლექციებისა და კოლმეურნეთა კულტურული გართობის მოწყობით.

ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა სოფელ ცუცხვათის კოლმეურნეობას, რომლის შეფობაც მან იკისრა, დახმარების სახით მიაწოდა 10 ტონა ქვანახშირი, 20 კუბური მეტრი შახტებში უკვე გამოყენებული ხე-ტყე, ნახევარი ტონა რკინა, დაუმზადა სახნისები, თოხები და გაუგზავნა სპეციალისტები სახერხი ქარხნის გასამართავად. ასეთივე დახმარება გაუწია მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა სოფელ მუხურის მალენკოვის სახელობისა და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებს.

ქალაქ ტყიბულის 16 სამრეწველო საწარმოს კოლექტივები შეფობას უწევენ რაიონის 19 კოლმეურნეობას.

ნ. ჯინჯიხაძე.

კომუნალური მეურნეობის ობიექტების ინვენტარიზაცია

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობითა და დახმარებით საქართველოს ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და კურორტებზე ადგილობრივმა საბჭოებმა დიდი მუშაობა გასწიეს მათი გამშვენიერებისა და კეთილმოწყობისათვის.

დღითიდღე ვითარდება და იზრდება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ეს თავის გავლენას ახდენს საქალაქო მშენებლობაზე, კეთილმოწყობის სამუშაოებზე. ენთუზიასტი მშენებლები გატაცებით იბრძვიან იმისათვის, რომ უმოკლეს დროში განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის დარგში დასახული ამოცანები.

საქართველოს ყოველ ქალაქი, რაიონული ცენტრი, მუშათა დაბა, ყოველი დასახლებული პუნქტი მეტყველებს ჩვენი ხალხის დიად შემოქმედებითს გაქანებაზე.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად ტერიტორიულად იზრდება ქალაქები, ფართოვდება ქუჩების ქსელი, დიდდება საცხოვრებელი ფონდი. ამასთან დაკავშირებით საჭირო ხდება კომუნალური მომსახურების მაღალ დონეზე დაყენება, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ სად, რომელ ქალაქში, რაიონულ ცენტრში ან მუშათა დაბაში რა შენობები გვაქვს რა ობიექტები, რა სიმდიდრე. საჭიროა კომუნალურ ნაგებობათა აღრიცხვა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქალაქების ტერიტორიაზე არსებულ მრავალფეროვან კომუნალურ ნაგებობათა აღრიცხვა-შეფასებას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიაკუთვნა. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ ჯერ კიდევ 1936 წელს გამოსცა დადგენილება მიწების, შენობების და კომუნალურ ნაგებობათა ინვენტარიზაციის შესახებ.

ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და კურორტების კომუნალურ განყოფილებებს უნდა ჰქონდეთ ქალაქის მეურნეობის ობიექტთა ზუსტი აღრიცხვა. ახლა პარტიამ და მთავრობამ ჩვენი რესპუბლიკის კომუნალურ განყოფილებათა მუშაკების წინაშე დააყენეს მეტად საპატიო და პასუხსაგები ამოცანა: უმოკლეს ვადაში და მაღალხარისხოვნად მოახდინონ საქართველოს ქალაქების კომუნალურ საწარმოთა და ობიექტთა ინვენტარიზაცია. აგვისტოში კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ ხაშურში მოაწყო ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების გადასამზადებელი ოცდღიანი კურსები. კურსებზე ჩამოვიდნენ კომუნალურ განყოფილებათა ტექნიკური აღრიცხვის მუშაკები თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, სტალინირიდან, გორიდან, რუსთავიდან, ფოთიდან, თელავიდან, გურჯაანიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რაიონული ცენტრებიდან.

ისინი მაღე შეუდგებიან მუშობას. საჭიროა ინვენტარიზაციის მაღალხარისხოვნად შესრულებაში მათ დახმარება გაუწიონ ადგილობრივმა საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ნ. ბეჟანიშვილი,
საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საბინაო მეურნეობის მთავარი სამმართველოს მთავარი ინჟინერი.

წერილები რედაქციას

რაჭიდან ოკაცეს გელეჭილაძეს

გორდი და კინჩხა წულუკიძის რაიონის მთის ზონის სოფლებია. ჯერ კიდევ ოც წელიწადზე მეტი ხნის წინათ ამ სოფლების მახლობლად მდინარე ბეღელას ბაზაზე დაწყებულ იქნა მცირეძალიანი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაც 1936 წელს დამთავრდა. სადგურის მშენებლობაში მახლობელი სოფლების მშრომელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. ყველა ცდილობდა საკუთარი შრომითი წვლილი შეეტანა ამ საქმეში. მაგრამ ხალხის მთელი ეს შრომა და გაწეული ხარჯი ფუჭი აღმოჩნდა.

ამუშაევების დღიდან ამ სადგურმა, რომელსაც „ოკაცჰესს“ უწოდებენ, მცირე ხანს იმუშავა და იმდენად გაუმართავი აღმოჩნდა, რომ არათუ მახლობელ სოფლებს, ერთ სოფელსაც ვერ მიაწოდა შუქი.

მდინარეების ოკაცესა და ღალდის შეერთების შემდეგ არის ადგილი, რომელიც სპეციალისტების დასკვნით საკვლევი შესაფერისია უფრო მძლავრი დაახლოებით სამასკილოვატიანი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად.

საჭიროა საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის სამმართველომ და ტრესტმა „სოფელელექტრომ“ განიხილონ და დადებითად გადაწყვიტონ ეს საკითხი. გორდი-კინჩხის და მისი ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ახალი საკოლმეურნეო ელექტროსადგურის აგებაში. უფრო მიზანშეწონილი იქნება ახალი სადგური ამ სამი შეერთებული მდინარის — ოკაცეს, ღალდისა და ბეღელას ხაზაზე აშენდეს.

ვ. ბოგოხიძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ნუშკორი მეტრეველი რედაქციას სწერდა ტყიბულქვანახშირის ტრესტის ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის მიერ გეგმების შეუსრულებლობის, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გაღიდების, მექანიზმების მოცდენის და სხვა ნაკლოვანებათა შესახებ.

წერილში მოყვანილი ფაქტები შეისწავლა პარტიის ტყიბულის რაიკომმა. რაიკომის მდივანი ამხ. პ. ბაკრაძე გვწერს: ტრესტის გამაუხვებელი ფაბრიკის მუშაობის საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელზეც აღინიშნა, რომ ფაბრიკაში შექმნილი მდგომარეობა გამოწვეულია დაბალი საწარმოო და შრომის დისციპლინით, მოუწესრიგებელია მექანიზმების მოვლა-გამოყენება, ხდება ავარიები, ირღვევა ტექნოლოგი

შეუნელებელი ყურადღება მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სესიაზე

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს მორიგმა სესიამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მოისმინა ოლქის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსის გ. მირონტაძის მოხსენება ოლქის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების გეგმების შესრულების, საკვების დამზადებისა და პირუტყვისათვის საზოგადოებრივი ბინების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

სესიაზე აღინიშნა, რომ მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, რაც ოლქის კოლმეურნეობებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლაში მოიპოვეს, ამ დარგში მაინც საგრძნობია ჩამორჩენა. მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის ოლქში მსხვილფეხა პირუტყვის სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 91,8 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 75,7 პროცენტით.

სესიაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და ძროხის სულადობის ზრდის საკითხებს.

სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქრისტესიანელმა მოიყვანა მაგალითები, თუ რა შემოსავალს აძლევს ჯიშიანი პირუტყვი კოლმეურნეობას. 1955 წლისათვის კოლმეურნეობას მთლიანად მაღალპროდუქტიული ძროხები ეყოლება. ი. ქრისტესიანელმა სესიის მონაწილეებს მოუთხრო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებულ მოსაზრებათა შესახებ.

როგორც სესიაზე გამოირკვა, თივის დამზადება, საკვების დასილოსება წელს უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს. მაგრამ ყველა კოლმეურნეობა როდი იყენებს პირუტყვის საკვების დროულად დამზადებისათვის არსებულ შესაძლებლობებს. თივის დამზადება განსაკუთრებით ნელი ტემპით მიმდინარეობს ჯავის რაიონის კოლმეურნეობებში. აქ გეგმა მხოლოდ 26,3 პროცენტით არის შესრულებული. სტალინირის რაიონის სოფლების ვანათის, სარაპუკის, ქემერტის კოლმეურნეობებს საჭირო რაოდენობის თივის 30 პროცენტი აქვთ მომარაგებული. თივის დამზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს ზნაურის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაშიც. ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები სუსტად ხელმძღვანელობენ თივის დამზადებას და სილოსის ჩადებას.

სესიის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს საოლქო საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის სამმართველო იმის გამო, რომ იგი საჭირო დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობებს სასილოსე კომკვეთილების და პირუტყვის ბინების საშენი მასალებით მომარაგებაში. გაკრიტიკებულ იქნა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის სამომხმარებლო კავშირის გამგეობა, რომელიც კოლმეურნეობებისათვის განკუთვნილ საშენ მასალებს ხშირად არადანიშნულებისამებრ ჰყიდის.

სესიაზე აღინიშნა, რომ ზნაურის რაიონის ხელმძღვანელობა ვერ იყენებს ყველა რეზერვს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შეხაქმნელად. ამავე დროს, რაიონში მეცხოველეობის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობს. წელს ზნაურის რაიონმა მარტო გარეული ბალახებისაგან 2.000 ტონაზე მეტი სილოსი დაამზადა.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ როგორც მომხსენებელმა გ. მირონტაძემ, ისე მოკამათეებმა არ ილაპარაკეს რაიონსაბჭოს აღმასკომებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, სასოფლო საბჭოების როლზე მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში. სესიაზე გაშლილი კრიტიკა უმთავრესად კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს შეეხო.

სესიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

მშვენდება რაიონული ცენტრი

უკანასკნელ ხანებში დიდი მუშაობა წარმოებს ცაგერის რაიონული ცენტრის — დაბა ცაგერის კეთილმოწყობისათვის. დაბამ სახე იცვალა. იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ხის უბრალო სახლები იდგა, ლამაზი კაპიტალური შენობები აღიმართა. რაიონის ცენტრს ახლა ამშვენებს ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლი, საშუალო სკოლის ახალი შენობა, სტამბა-რედაქციისა და კულტურის სახლის ორსართულიანი შენობები.

მთავრდება ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კორპუსი, მიმდინარეობს შენობის მიდა მოწყობა. შენდება რაიონული საავადმყოფოს ორსართულიანი შენობა და რაიკავშირის სახლი.

მშენებლობასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა ქუჩების გაფართოებას, გამწვანებას და ტროტუარების დაგებას. ქუჩების ორივე მხარეს გაკეთდა გაზონები. ქუჩების გაყოლებით და საწარმო-დაწესებულებათა ეზოებში დაირგო წიწვიანი და ფოთლოვანი მცენარეები. ამ სამუშაოთა შესრულებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუშა-მოსამსახურეებმა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. ცაგერის ქუჩები გაჩირაღდნებულია ლამპიონებით.

ცაგერისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ცხენისწყალი, რომელიც წყალდიდობის დროს საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას. სტიქიური უბედურებისაგან თავდასაცავად გაკეთდა მაგარი ჯებირი, რომლის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო დაბის მოსახლეობამ.

რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა გრძელდება.

ვ. თოლთაძე.

გულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში

სულ უფრო მშვენიერდება და ძლიერდება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა. სწრაფ აღმავლობას განიცდის მისი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, იფურჩქნება მისი კულტურა და ხელოვნება. ბულგარელი ხალხი მტკიცედ მიემართება სოციალიზმის მშენებლობის გზით.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობაზე ამბ. ვილკო ჩერვენკოვმა განაცხადა, რომ „ბულგარეთში უკვე აშენებულია სოციალიზმის საფუძვლები. შექმნილია აუცილებელი პირობები ქვეყნის სოციალიზმის გზით სწრაფი განვითარებისა და მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის მკვეთრი ამაღლებისათვის“.

შრომისმოყვარე ბულგარელი ხალხი საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით აშენებს ახალ, ბედნიერ, საამურ ცხოვრებას. თვითეული ბულგარელი პატრიოტი, წარმოებაში იქნება იგი თუ სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე თუ მაღაროში, ენერგიულად იბრძვის დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და კომუნისტური პარტია განუხრელად ზრუნავენ მშრომელთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სულ უფრო მეტი რაოდენობით ხსნიან სკოლებსა და საავადმყოფოებს, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის 28 მარტს მეოთხეჯერ შემცირდა ფართო მოხმარების საქონლის ფასები. ამის გამო დიმიტროვული პრემიის ლაურეატი პროფესორი კირილ ბრატანოვი წერდა:

„სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების სათვალავით მეოთხე შემცირება პარტიისა და სახალხო მთავრობის მშვიდობიანი, შემოქმედებითი პოლიტიკის, მშრომელთა ცხოვრების მუდმივი გაუმჯობესების პოლიტიკის ახალი დადასტურებაა“.

• • •

სურათებზე: ბულგარეთის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს დასასვენებელი სახლი ქალაქ ნესებარში. (ქვემოთ) ცეცა პოპოვა, რომელიც სოფიის საორთქლმავლო ქარხნის სახარატო საამქროში საღარავ ჩარხზე მუშაობს, თვიურ ნორმას 130-150 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოსი.

ციფრები და ფაქტები

ბულგარეთის სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კაპიტალდაბანდებათა გადიდებას მრეწველობაში — ერთიორად, სოფლის მეურნეობაში — 2,3-ჯერ, სახალხო განათლებაზე — 86 პროცენტით.

• • •

1952 წელთან შედარებით წელს ელექტროენერგიის წარმოება გადიდდა ერთიორად, ქვანახშირის მოპოვება — 2,9-ჯერ. მოყვანილ იქნა ოთხჯერ მეტი ბამბა და 2,8-ჯერ მეტი შაქრის ჭარხალი.

• • •

პირველ ხუთწლედთან შედარებით იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებმაც უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს, გადიდდა 27 პროცენტით, საშუალო სკოლადამთავრებულთა რიცხვი — 30 პროცენტით, ტექნიკუმდამთავრებულთა რიცხვი — 83 პროცენტით.

ბრიჯანეთის ჭრედ-უნიონების 86-ე კონგრესს

ჯ. ტანერს—თავმჯდომარეს
ვ. ტიუსონს—გენერალურ მდივანს

ქალაქი ბრაიტონი, ინგლისი.

ძვირფასო ამხანაგებო!

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო საბჭოთა ფუშტისა და მოსამსახურეების სახელით სალამსა და წარმატებით მუშაობის სურვილს გადასცემს ბრიტანეთის ტრედ-უნიონების 86-ე კონგრესს.

თქვენი კონგრესი მიმდინარეობს იმ დროს, როცა მსოფლიოს ხალხები აქტივებენ თავიანთ ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილონ ახალი ომის საფრთხე და განამტკიცონ მშვიდობის საქმე. მშვიდობისათვის ამ ბრძოლას მბარს უჭერს ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელი, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფკავშირებში. უეჭველია, რომ ყველა პროფკავშირული ორგანიზაციის მოქმედების ერთიანობა ხელს შეუწყობდა წარმატებებს ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებაში და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

დიდი ბრიტანეთის მუშათა კლასი ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის მშრომელები, დაინტერესებულია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებით და მეგობრული ურთიერთობის განვითარებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ინგლისისა და საბჭოთა პროფკავშირების ერთობლივი ღონისძიებანი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, შეიძლება ახლაც ძვირფასი წვლილი გახდნენ მშვიდობისათვის ბრძოლაში და საერთაშორისო პროფკავშირული თანამშრომლობის განმტკიცებაში. ამიტომ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო მიმართავს ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესს წინადადებით — განიხილოს საკითხი ჩვენი ქვეყნების პროფკავშირებს შორის ურთიერთობის განმტკიცებისა და კერძოდ ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის საქმიანობის განახლების შესახებ.

ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის საქმიანობის განახლება ხელს შეუწყობდა დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მუშების ურთიერთობის განმტკიცებას, ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას, ღონისძიებათა გაერთიანებას შეიარაღების შემცირებისა და წყალბადისა და ატომური იარაღის აკრძალვისათვის და ხალხთა კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ ორივე ქვეყნის პროფკავშირებისათვის, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო საბჭოთა კავშირში იწვევს ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესის დელეგაციას და მოხარული იქნება მიესალმოს მას ჩვენს ქვეყანაში.

ძვირფასო სალამით.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.

1954 წლის 6 სექტემბერი.

სასურსათო საქონლის ბრიჯანეთის გამოფენა ლონდონში

ლონდონი, 7 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ლონდონში ფართო საზოგადოებისათვის გაიხსნა სასურსათო საქონლის ბრიტანეთის გამოფენა, რომელშიც პირველად მონაწილეობს საბჭოთა კავშირი. გამოფენის ოფიციალურ გახსნას დასწრო საბჭოთა ელჩი დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკი.

სსრ კავშირის პავილიონი, რომელიც ცხადყოფს საბჭოთა კვების მრეწველობის მიღწევებს, მნახველთა ყურადღების ცენტრშია.

მრავალი ფირმის წარმომადგენლები დაინტერესებული არიან საბჭოთა სავაჭრო ორგანიზაციებთან კონტრაქტების დადებით. როგორც მრავალი მნახველი ხაზგასმით აღნიშნავს, გამოფენაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობა ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და დიდ ბრიტანეთის სავაჭრო ურთიერთობის განმტკიცებას.

ცნობებში გამოფენის გახსნის შესახებ გაზეთები აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის პავილიონმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მნახველებზე. „ტაიმსი“ წერს: „მხოლოდ ქებით შეიძლება მოვახსენოთ ის, თუ რა მოფიქრებულად და ფართოდ არის წარმოდგენილი რუსეთის კოლოსალური რესურსები სურსათის დარგში...“

„ბირმინჰამ პოსტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „წელს გამოფენას ნამდვილად საერთაშორისო ხასიათი აქვს“, რამდენადაც გამოფენაში მონაწილეობენ სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტენდი საბჭოთა კავშირს ეკუთვნის, — წერს გაზეთი, — ხოლო შემდეგი ადგილი ბულგარეთს უკავია. უნგრეთმა და პოლონეთმაც წარმოადგინეს სასურსათო საქონლის შესანიშნავი ასორტიმენტი, რაც მნახველებს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის ამ ქვეყნების კოლოსალური რესურსების შესახებ“.

„იორკშირ პოსტი“ წერს: „მნახველთა უმრავლესობაზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას იხდენს რუსეთის პავილიონის მასშტაბი და პავილიონში წარმოდგენილი საქონლის სიუხვე“.

„სკოტსმენი“ აცხადებს, რომ, „თუმცა ყველა სტენდი ერთნაირად ახარებს თვალს, მაგრამ რუსეთის სტენდი ყურადღების ცენტრშია“.

გულგარელი ხალხი სოციალიზმის გზაზე

1954 წლის 9 სექტემბერს სრულდება ათი წელიწადი იმ დღიდან, რაც ბულგარელმა ხალხმა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დარაზმა სამამულო ფრონტში და რომელიც ემყარებოდა ჰიტლერიზმზე საბჭოთა არმიის ისტორიულ გამარჯვებებს, დაამხო მონარქისტულ-ფაშისტური დიქტატურა თავის ქვეყანაში, განთავისუფლდა უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან და ძალაუფლება თავის ხელში აიღო.

განვლილი ათი წლის მანძილზე სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ გარდაქმნა ბულგარეთი. წინათ ჩამორჩენილმა ქვეყანამ, რომელიც ემყარებოდა კაპიტალიზმის ულოსებაგან განთავისუფლებული მასების შრომით ენთუზიაზმს და საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებას, თავის განვითარებაში მოახდინა ჭეშმარიტად ზღაპრული ნახტომი წინ. სახალხო მეურნეობის განვითარების 1949-1953 წლების პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომლის მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლების აშენება, ოთხ წელიწადში შესრულდა. პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრების შედეგად ბულგარეთი უკვე 1952 წლის დამლევისათვის გადაიქცა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად: თუ 1939 წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია 33,8 პროცენტს შეადგენდა, ხოლო სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია — 66,2 პროცენტს, 1952 წელს სურათი დიამეტრალურად საწინააღმდეგო გახდა: მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა 66,6 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობისა — 33,4 პროცენტს. წარმოების საშუალებათა წარმოება 1939 წელს მთელი სამრეწველო პროდუქციის 23 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1953 წელს მან 40 პროცენტს გადაამეტა.

ბულგარელი ხალხი წარმატებით ახორციელებს თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას; სოციალისტური მრეწველობა ამჟამად მრეწველობის ერთადერთი ფორმაა. გადაჭარბა რა სამრეწველო წარმოების ომამდელ დონეს (1939 წლის დონეს) ოთხჯერ და მეტად, ბულგარელმა ხალხმა შექმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები — მანქანათმშენებელი, მეტალურგიული, ელექტროტექნიკური, ქიმიური, საშენი მასალების მრეწველობა. ბულგარეთში დასაწყისი მიეცა ფერადი მეტალურგიის განვითარებას. შეიქმნა ახალი სამრეწველო ცენტრები — დიმიტროვგრადი, კირჯალი, მადანი, ბურგასის სპილენძის რაიონი და სხვები. აღმოჩენილ იქნა ნავთობის მდიდარი საბადოები. ბულგარეთის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პროცესში იზრდება და მტკიცდება, სულ უფრო მეტ ხვედრით წონას იძენს ბულგარეთის მძიმე მრეწველობა.

მანქანათმშენებლობის პროდუქცია 1939 წელთან შედარებით გადიდდა 90-ჯერ და მეტად, მადნის ამოღება — 43-ჯერ. პირველი ხუთწლედის 4 წელიწადში აშენდა 700-ზე მეტი ფაბრიკა და ქარხანა, მათ შორის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პირველი რიგი, ი. ბ. სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატი. არაჩვეულებრივად ფართოდ გაჩაღდა ბულგარეთის ელექტროფიკაცია. ომამდელ დონესთან შედარებით რამდენჯერმე გადიდდა მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება.

მნიშვნელოვანია წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგშიც. წლითიწლობით დიდდება ნათესი ფართობები. მაღლდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, იზრდება მეცხოველობის პროდუქტიულობა. წარმატებით ხორციელდება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. ღარიბი და საშუალო გლეხთა ძირითადი მასა უკვე შევიდა შრომითს კოოპერაციულ-სამეწარმეო მეურნეობებში. ჯერ კიდევ 1952 წელს კოლექტიურ მეურნეობათა ფართობშა ბულგარეთში მთელი დასამუშავებელი მიწების 60,5 პროცენტს მიაღწია, ხოლო კოოპერირებული კომლების რაოდენობა ყველა გლეხური მეურნეობის 52,3 პროცენტს შეადგენდა. კოოპერაციულმა წყობილებამ ბულგარეთის სოფელში გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა. სახელმწიფომ გადაჭრა მარცვლეულის პრობლემა, იგი სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორისაგან ორ მესამედ მარცვლეულს იღებს. ბულგარეთში სავსებით დამკვიდრდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა.

პირველი ხუთწლიანი გეგმის ამოცანები ბულგარეთში წარმატებით გადაჭრილ იქნა 4 წელიწადში საბჭოთა კავშირის დახმარებისა და ბულგარელი ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით. პირველი ხუთწლედის წარმატებით დამთავრების შედეგად რესპუბლიკაში აშენებულია სოციალიზმის საფუძვლები და შექმნილია მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის მკვეთრი აღმავლობის საჭირო პირობები. ბულგარეთის სახალხო შემოსავალმა, რომელიც ძველი რეჟიმის დროს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მცირე იყო, უკვე 1952 წელს ერთიორად გადააჭარბა ომამდელ დონეს.

მშრომელთა რეალური ხელფასისა და გლეხთა შემოსავლის გადიდებაზე კეთილი გავლენა მოახდინა 1952 წელს განხორციელებულმა ფულის რეფორმამ და საბარათო სისტემის გაუქმებამ, აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების ფასების სისტემატურმა შემცირებამ. გაუმჯობესდა ბინებით მშრომელთა უზრუნველყოფა. პირველი ხუთწლედის 4 წელიწადში აშენდა 3,4 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი შენობები. შემოღებულია უფასო სამედიცინო მომსახურება, რომლის საჭიროებაზე სახელმწიფო უდიდეს სახსრებს ხარჯავს. ახლა ბულგარეთში ერთი ექიმი მოდის 900 კაცზე, მაშინ როცა საფრანგეთში — 1.000 კაცზე, ხოლო ჰოლანდიაში — 1.060 კაცზე. რამდენჯერმე გადიდდა საავადმყოფოების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რაოდენობა. უდიდესი ყურადღება ექცევა დედისა და ბავშვის ჯანმრთელობას დაცვას. 1939 წელს ბულგარეთში იყო მხოლოდ ერთი სამშობიარო სახლი და სულაც არ ყოფილა ბაგები. ახლა კი არის 658 სამშობიარო სახლი და მრავალი ასეული ბაგა. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებანი სახალხო ჯანმრთელობის დაცვისათვის შარშან 70-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1939 წელს, ხოლო წელს ისინი ომამდელ დონეს 80-ჯერ აჭარბობენ.

ბულგარეთი განიცდის კულტურულ რევოლუციას. გაიზარდა სასწავლებელთა ქსელი, შემოღებულია სავალდებულო უფასო დაწყებითი სწავლა. უმაღლეს სასწავლებელთა რაოდენობა 1939 წელთან შედარებით ერთიოთხად გადიდდა, ხოლო სტუდენტთა რიცხვი ერთისამად და მეტადაც.

ახლა ბულგარელი ხალხი თავდადებით შრომობს სახალხო მეურნეობის განვითარების 1953-1957 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად. მეორე ხუთწლედის დირექტივები დაამტკიცა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ, რომელიც ამა წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა. პარტიის VI ყრილობამ ბულგარეთის წინაშე მთავარ ამოცანად დასახა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონის მკვეთრი ამაღლება. 1957 წლის დამლევისათვის ნაციონალური შემოსავალი სულ ცოტა 50 პროცენტით გადააჭარბებს 1952 წლის დონეს. მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და გლეხთა შემოსავალი სულ ცოტა 40 პროცენტით გადიდდება.

მეორე ხუთწლედში ბულგარეთი დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარების გზაზე.

მეორე ხუთწლედის პირველი წლის, ესე იგი 1953 წლის გეგმა ბულგარელმა ხალხმა წარმატებით შეასრულა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1952 წელთან შედარებით 12 პროცენტით გადიდდა. ამუშავდა მთელი რიგი დიდი სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა — ბულგარეთის შავი მეტალურგიის პირმშო. აშენდა ბევრი ახალი სკოლა, საავადმყოფო, კულტურის კერა. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 57 ათასით გადიდდა. ნაციონალური შემოსავალი 16 პროცენტით გადიდდა. 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სახალხო-სამეურნეო გეგმა ასახავენ სახელმწიფოს დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. საკმარისია ითქვას, რომ კაპიტალდაბანდებანი მოსახლეობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად მიმდინარე წელს შარშანდელთან შედარებით 597 მილიონ ლევით დიდდება. მიმდინარე წელს საბოლო პროცენტით მეტი საცხოვრებელი ფართობი აშენდება, ვიდრე ერთი წლის წინათ.

ბულგარელი ხალხი თავისი განთავისუფლების ათი წლის თავს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით ეგებება. ბულგარეთის ქვანახშირის ყველაზე დიდი აუზის — დიმიტროვის მეშახტეებმა 18 აგვისტოს უპატაკეს ქვანახშირის ამოღების 8 თვის გეგმის ვადამდე შესრულება. მნიშვნელოვანი წარმატებებით ეგებებიან დღესასწაულს ელექტრომრეწველობის მუშაკები. ქალაქ დიმიტროვგრადის ვ. ჩერვენკოვის სახელობის თბოელექტროსადგურმა დღესასწაულის აღსანიშნავად 4 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია მისცა სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით. ჰიდროელექტროსადგურმა „როსიცამ“ ვადამდე, 21 აგვისტოს, შეასრულა ელექტროენერგიის წარმოების წლიური გეგმა. გეგმების ვადამდე შესრულებას უპატაკებენ მრეწველობის სხვა დარგების მუშებიც.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ წამოაყენა სახალხო-დემოკრატიული წყობილების და მისი საფუძვლის — სამამულო ფრონტში მშრომელ ინტელიგენციასთან გაერთიანებულ მუშათა და მშრომელ გლეხთა კავშირის შემდგომი განმტკიცების ამოცანა. სამამულო ფრონტის სული და გულია ბულგარეთის კომუნისტური პარტია — ბულგარელი ხალხის საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა. ბულგარელი ხალხი დაუცხრომლად განმტკიცებს თავის სახალხო ხელისუფლებას, რადგან იცის, რომ სახალხო სახელმწიფო სოციალიზმის აშენების მთავარი იარაღია.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა ვითარდება როგორც მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. ბულგარელი ხალხი, რომელიც მთელი ძრწოლით ეწევა სოციალიზმის მშენებლობას, სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ევროპასა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებით. ამიტომ იგი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა წინადადებებს ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის შესახებ და თანმიმდევრულად იბრძვის ყველა საადავო საერთაშორისო საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის.

ბულგარეთს თვალსაჩინო ადგილი უკავია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. ბულგარეთი ფართოდ თანამშრომლობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, ძმარს უჭერს და ავითარებს მათთან ახალ, ისტორიაში უმაგალითო საერთაშორისო ურთიერთობას, რომლის მკაფიო გამოვლინება იყო, კერძოდ ის, რომ ბულგარეთმა რუმინელ ხალხთან ერთად და საბჭოთა კავშირის დახმარებით დუნაიზე აშენა სარკინიგზო და საავტომობილო ხიდი, რომელმაც შეაერთა ბულგარეთი და რუმინეთი. ამ ხიდს ორივე ქვეყნის ხალხებმა სამარადისო მეგობრობისა და ძმობის ხიდი დაარქვეს.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ბულგარეთში მიღწეულია საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარების მეოხებით. ბულგარელი ხალხი წმიდად ასრულებს გიორგი დიმიტროვის ანდერძს. გიორგი დიმიტროვმა არაერთხელ აღნიშნა, რომ „ბულგარელი ხალხისათვის საბჭოთა კავშირთან შეგობრობა ისევე აუცილებელია, როგორც მზე და ჰაერი ყოველი ცოცხალი არსებისათვის“.

ბულგარეთის მთავრობა, რომელიც მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების საქმის ერთგულია, განუხრელად ახორციელებს თავის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება, ახორციელებს სახელმწიფოთა შორის მშვიდობის, თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას.

უკანასკნელ ათ წელიწადში ბულგარეთის განვითარება თვალსაჩინოდ მოწმობს სახალხო-დემოკრატიული წყობილების დიდ სასიცოცხლო ძალას. ამ მშენებლობის წარმატებანი ერთხელ კიდევ ამტკიცებენ იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ უძლეველია ხალხი, რომელმაც საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება და თვითონ განაგებს თავის ბედს. მიღწეული წარმატებებით და საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი დახმარებით მთაგონებული, თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ბულგარელი ხალხი მტკიცედ მიდის წინ, სოციალიზმისაკენ.

ჯ. ვინოკუროვი.

აიზენჰაუერის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 8 სექტემბერი. (საკ.ინ.). პრეზიდენტმა აიზენჰაუერმა დენვერიდან (კოლორადოს შტატი) რადიოთი წარმოთქვა სიტყვა იმის გამო, რომ სიფუძველი ჩაეყარა ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველ ელექტროსადგურს, რომელმაც უნდა იმუშაოს ატომის ენერგიით.

ყურადღებას იქცევს პრეზიდენტის სიტყვის პროპაგანდისტული ხასიათი, რაც, უეჭველია, გამოწვეულია იმ წარმატებებით, რომლებიც საბჭოთა კავშირს აქვს სამშვიდობო მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში და იმ უფარფოსა მხარდაჭერით, რომელსაც პოულობს საბჭოთა ინიციატივები, მიმართული მისაკენ, რომ კაცობრიობა იხსნას ატომური და წყალბადის ომისაგან.

აიზენჰაუერმა გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები შეუთანხმდნენ „მთელ რიგ სხვა ქვეყნებს“ დაიწყონ „საერთაშორისო ორგანოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ატომური ტექნიკის შემუშავებასა და გავრცელებას სამშვიდობო მიზნებისათვის“. როგორც ცნობილია, ეგრეთწოდებული „ატომური პულის“ შექმნის იდეა აიზენჰაუერმა პირველად გამოთქვა თავის 1953 წლის 8 დეკემბრის სიტყვაში. მან მაშინ წამოაყენა წინადადება, რომ სამშვიდობო მიზნით გამოყენებულ იქნეს ატომის ნედლეულის მარაგის „რაღაც ნაწილი“, რაც სრულიადაც ვერ შეუწყობს ხელს საკითხის გადაწყვეტას. რადგან ატომური მასალების ძირითადი მასა წინანდებურად გამოყენებული იქნებოდა ატომური და წყალბადის იარაღის წარმოებისათვის. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატები თავს არიდებენ მიღწევ საბჭოთა კავშირის წინადადება — საკვეყნად იკისრონ უშენშვნო ვალდებულება, რომ არ გამოიყენებენ ატომურ, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღს. გვერდს უვლიან რა ამ მთავარ საკითხს, რომელიც მსოფლიოს საზოგადოებრიობას ინტერესებს, შეერთებული შტატები ცდილობენ მიაძინონ მისი ყურადღება: ისინი ქმნიან მხოლოდ ცრუ მოჩვენებითობას, თითქოს ესწრაფოდნენ ატომის ენერგიის გამოყენებას სამშვიდობო მიზნით, ნამდვილად კი განაგრძობენ გამალებულ ატომურ შეიარაღებას და ატომური ომისათვის მზადებას.

ასეთია იმ „საერთაშორისო ორგანოს“ ნამდვილი ამოცანა, რომელსაც კვლავ უწევს რეკლამას პრეზიდენტი აიზენჰაუერი.

URUGVAIS KOMUNISTURI PARTIIS KONFERENCIA

MONTEVIDEO, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). 4 და 5 სექტემბერს მონტევიდეოში გაიმართა ურუგვაის კომუნისტური პარტიის ეროვნული კონფერენცია.

კონფერენციამ განიხილა ურუგვაიში საყოველთაო არჩევნებისათვის მზადების საკითხი. არჩევნები გაიმართება ამა წლის 28 ნოემბერს. მოხსენება გააკეთა კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ეუხენიო გომესმა. მან პარტიის წევრებს მოუწოდა თავიანთი საქმიანობა წარმართონ ომისათვის, რომ მასები დარაზმონ შეერთებულ შტატებთან სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ საბრძოლველად, ცხოვრების ღირებულების შემცირებისათვის, ხალხის ეკონომიურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის, მომავალ არჩევნებში კომუნისტური პარტიის კანდიდატების გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

კონფერენციამ სენატში კომპარტიის კანდიდატად დასახელა ხუთი კაცი და დეპუტატთა პალატაში — 18 კაცი.

INDONEZIIS GAZETI MXARS UჭERS საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას

ჯაკარტა, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). ინდონეზიის პრესა იმოწმებს ოფიციალურ წრეებს და იუწყება, რომ სასტრონომიჯოიოს მთავრობა ამჟამად სწავლობს საკითხს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ხარიან რაკიათი“ მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა ხელსაყრელია ინდონეზიისათვის. „სოციალისტურ ბანკთან ვაჭრობის გაფართოება, — წერს გაზეთი, — დიდ დახმარებას გაუწევს ინდონეზ ას“.

ლაიპციგის გაზრდაზე

ბერლინი, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). ლაიპციგის გაზრდას დიდი წარმატება აქვს. მარტო გაზრდის გახსნის დღეს იგი დაათვალიერა 73 ათასზე მეტმა კაცმა — 46 სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, ლაიპციგში გაგზავნა მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციებისა და ფირმების წარმომადგენლები.

გაზრობის მონაწილე კაპიტალისტური ქვეყნების ფირმების წარმომადგენლებმა პირველ დღეებშივე დაამყარეს კონტაქტი საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საერთაშორისო და გერმანიის შინავაჭრობის განვითარებისათვის ლაიპციგის გაზრობის დიდ მნიშვნელობაზე წერს დასავლეთ გერმანიის ბევრი გაზეთიც. გაზეთი „მანჰაიმერ მორგენი“ აღნიშნავს, რომ წელს წარსულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა გაზრობის მონაწილეთა რიცხვი კაპიტალისტური ქვეყნებიდან, კერძოდ, დასავლეთ გერმანიიდან.

„ლაიპციგმა, — წერს გაზეთი „ჰანოვერშე ალგემაინე ცაიტუნგი“, — კვლავ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მსოფლიო ეკონომიკისათვის“.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ჟოლიო-კიურის განცხადება

მენა, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის განცხადება. განცხადებაში ნათქვამია:

მშვიდობის ყველა მომხრის ლონისძიებანი დიდი და დიდმნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო „ევროპის“, თავდაცვითი გაერთიანება“ ფრანგი ხალხის სამი წლის დაუცხრომელ და სულ უფრო მზარდ ლონისძიებათა შედეგად და ამით აღმოფხვრა ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომელიც გზას უღობავდა ევროპის მოლაპარაკებას.

ჟენევის თათბირმა ცხადყო, რომ მოლაპარაკებისა და ურთიერთდათმობის მეთოდი საშუალებას იძლევა გადაიჭრას ყველაზე ძნელი და ყველაზე საშიში კონფლიქტები.

მთელი რიგი წლების განმავლობაში მთავრობებს, საერთაშორისო. და ეროვნულ ორგანიზაციებს, სხვადასხვა მოღვაწეებს, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ მოძრაობებს შემოჰქონდათ ისეთი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხების მოწესრიგება.

დღეს მსოფლიოში, სადაც 20 წლის მანძილზე პირველად შეწყდა ზარბაზნების ყუხილი, უნდა დაიწყოს მოლაპარაკება, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს იმ უთანხმოებათა მოწესრიგება, რომლებიც აქამდე თიშავდა მსოფლიოს.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ატმოსფერო ხელსაყრელია შეთანხმებისათვის.

ასეთი შეთანხმების მიღწევა, თუნდაც ზოგიერთ გარკვეულ და განსაზღვრულ საკითხში, შეამცირებს დაძაბულობის მიზეზებს და ახალ გზას გაუხსნის მშვიდობას, ხელს შეუწყობს ყველა ხალხის, ყველა ერის უშიშროებას და კეთილდღეობას.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი მტკიცედ მიემხრო საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. უდავოა ის ფაქტი, რომ მისმა მოქმედებამ გამოიწვია ომის დამთავრება ვიეტნამში და „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ უარყოფა. საზოგადოებრივმა აზრმა შეიგნო თავისი მოქმედების ძალა. მთავრობებმა და კოალიციებმა, რომელთაც თავდაცვის საბაბით სურთ თავს მოგვახვიონ შეიარაღებული ზავი, რაც უზრუნველყოფს მათთვის გაბატონებულ მდგომარეობას, ანგარიში უნდა გაუწიონ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს.

საზოგადოებრივი აზრის წინაშე მდგომი ამოცანები დიდმნიშვნელოვანია. ეს ამოცანები ის არის, რომ ხელი შეეწყოთ ნამდვილ მოლაპარაკებას, რომელის მიზანია მშვიდობის განმტკიცება ევროპასა და აზიაში, და მტკიცედ ვაიძულოთ სახელმწიფოები დაადგნენ განიარაღებისა და მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვის გზას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო, რომელიც შეიკრიბება ვენაში 13-15 სექტემბერს, დასახავს ისეთ საშუალებებს, რომლებიც შეაძლებლობას მისცემენ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს გამოთქვას თავისი თვალსაზრისი და იმოქმედოს მოლაპარაკებისა და მშვიდობის სასარგებლოდ.

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის

პარიზი, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). საფრანგეთში ფართოდდება სახალხო მოძრაობა ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის ორგანიზაციის შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადებისათვის მხარდასაჭერად.

ეროვნული კრების მიერ პარიზის ხელშეკრულების უარყოფასთან დაკავშირებით დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაციის მოწინააღმდეგეებმა მარსელში მოაწყეს დიდი მიტინგი. მიტინგზე გამოვიდნენ სოციალისტური პარტიის, რადიკალთა პარტიის წევრები, კომუნისტები და სხვები, რომლებიც ერთსულოვნად მოუწოდებდნენ ფრანგ ხალხს გააორკეცოს ღონისძიებანი ბონელი რევანშისტების შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლაში. „საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ მოეწყოს ოთხი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკება, — თქვა სოციალისტმა გარსენმა, — რათა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას გერმანიის საკითხი და საყოველთაო განიარაღების პრობლემა“.

დიდი მიტინგი გაიმართა აგრეთვე ქალაქ სენტ-ეტიენში.

იმ ფრანგი ახალგაზრდა კათოლიკე პატრიოტების ჯგუფის ოჯახებმა, რომლებიც 1944 წელს ჰიტლერელმა ოკუპანტებმა ბულონის ტყეში დახვრიტეს, მენდეს-ფრანსს გაუგზავნეს წერილი მოთხოვნით — „იარაღი არ მისცეთ იმათ, ვინც უბედურება მოგვიტანა ჩვენ და მთელ საფრანგეთს“.

„მართალი არ არის, — ნათქვამია წერილში, — რომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ არჩევანი გერმანიის შეიარაღების სხვადასხვა ფორმას შორის... უკლებლივ ყველა იმ ქვეყნის კავშირი, რომლებმაც ისეთივე უბედურება განიცადეს, როგორც ჩვენ, შეძლებს ხელი შეუშალოს და კიდევაც უნდა შეუშალოს ხელი გერმანელ ნაცისტთა შეიარაღებას, რომლებიც ეშინიათ ყოველსა რევანშს ესწრაფვიან. ვემუდარებით არ მისცეთ იარაღი ჩვენი შვილების მკვლელებს“.

ავსტრია უაღრესად დაინტერესებულია სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროებით

ვენა, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). როგორც გაზეთი „ეხტერრაიხიშე ფოლკსშტიმე“ იუწყება, ფლორისდორფის მუშათა კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სათემო საბჭოს მომავალ არჩევნებს, სიტყვა წარმოთქვა პარლამენტის დეპუტატმა „ავსტრიის სახალხო ოპოზიციისაგან“ ერნსტ ფიშერმა.

ჩვენი ქვეყნის ყოველი სადად მოაზროვნე ადამიანი, ამბობს ფიშერი, აყენებს კითხვას: „რატომ გახდა ბერლინის თათბირზე შეუძლებელი შეთანხმება ავსტრიის საკითხზე, მაშინ როცა ჟენევის თათბირმა გადაწყვიტა გაცილებით უფრო ძნელი საკითხი — ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხი“.

ბერლინში შესაძლებელი იყო გადაწყვეტილების მიღწევა, რომელიც, თუმცა ერთბაშად ვერ დაკმაყოფილებდა ავსტრიელი ხალხის ყველა მოთხოვნას, მაგრამ დაკმაყოფილებდა ამ მოთხოვნათა დიდ უმრავლესობას. მაგრამ მაშინ, ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით, ავსტრიის მთავრობამ გადაჭრით გაილაშქრა სახელმწიფო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ. ახლა კი საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ავსტრიისათვის ახალი შესაძლებლობანი შეიქმნა. პასუხად ავსტრიის წინადადებისა — დაიწყოს მოლაპარაკება საოკუპაციო რეჟიმის შესუბუქების შესახებ საბჭოთა სიტყვიდან ჩანს, რომ შეერთებული შტატები ცდილობენ შექმნან ეს „დამკვრელი ძალები“, რათა თავიანთი აგრესიული გეგმებისათვის გამოიყენონ საზარბაზნე ხორცად აზიის ხალხები, ე. ი. ამერიკის დიპლომატიის იმ გეზის შესაბამისად, რომ აზიელები გამოიყენონ აზიელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მან განაცხადა, რომ სეატო-ს ორგანიზაციის მოქმედების რაიონი უნდა გავრცელდეს კამბოჯაზე, ლაოსსა და ვიეტნამზე, რაც, როგორც ცნობილია, პირდაპირ ეწინააღმდეგება ჟენევის შეთანხმებებს, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებს უკრძალავენ რაიმე სამხედრო ბლოკში შესვლას.

დალესმა იმედი გამოთქვა, რომ სეატო-ს ხელშეკრულებაში შეტანილი იქნება მუხლი, რომელიც „ყოველ სახელმწიფოსა და ტერიტორიას“ ნებას მისცემს შეუერთდეს ამ ბლოკს. უცხოელ მეთვალყურეთა აზრით, ეს გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებას მომავალში სეატო-ში შეიყვანონ სამხრეთი კორეა, იაპონია და ჩანკაიშელთა ბრიგა, როგორც აგრესიული ბლოკის ძირითადი დამკვრელი ძალა.

დალესმა აღიარა, რომ კონფერენციის მონაწილეთა შორის უთანხმოებაა.

დღეს კონფერენციის ოფიციალურად „გახსნისა და მისი ძირითადი მონაწილეების სიტყვების შემდეგ დაბეჭდა სეატო-ს ამერიკის პროექტის განხილვა. განხილვა მიმდინარეობს დახურულ სხდომებზე.

შეერთებული შტატები აგრესიულ ბლოკს აკოწიწებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

შანხაი, 6 სექტემბერი. (საკ.ინ.). დღეს მანილაში (ფილიპინები) გაიხსნა კონფერენცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო-აგრესიული ბლოკის (სეატო) შექმნის საკითხზე. შეერთებულმა შტატებმა ეს კონფერენცია კერძოდ იმისათვის მოიწვიეს, რომ აინიზღაურონ ის, რომ ჟენევის თათბირზე ჩაეშალათ თავიანთი გეგმები ინდოჩინეთის მიმართ. 8 ქვეყნიდან, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბლოკის შექმნაში მონაწილეობენ, 5 ქვეყანა, სახელდობრ — ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრალია და ახალი ზელანდია, — აზიის ქვეყნები არ არის. ამავე დროს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ისეთმა ქვეყნებმა, როგორიც არის ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია და ცეილონი, უარი თქვეს გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები კონფერენციაზე.

დღეს კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა ამ კონფერენციის ორგანიზატორმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა. მან დაახასიათა კონფერენციის ძირითადი მიზნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სეატო-ს ხელშეკრულების ამერიკის პროექტში. დალესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სამხედრო ბლოკი მიმართული უნდა იყოს „საერთაშორისო კომუნიზმის“ წინააღმდეგ. მან კონფერენციის მონაწილეებს მოუწოდა შექმნან ამისათვის „მობილური დამკვრელი ძალები“.

უცხოეთის მონოპოლიები ხელში იგდებენ ეგვიპტის ნავთობს

კაირო, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). პრესის ცნობებით, ეგვიპტის მთავრობამ ინგლისის კომპანიას „ანგლო-იჯიფშნ ოილფილდსს“ და ამერიკის კომპანია „სოკონი-ვაკუუმს“ მისცა სინაის ნახევარკუნძულზე რას მატარმის რაიონში ნავთობის წყაროების ძიებისა და ექსპლოატაციის კონცესიები. კონცესიები მაცემელია 30 წლის ვადით.

მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში

ამსტერდამი, 8 სექტემბერი. (საკ.ინ.). გუშინ გაიმართა გადადებული პარტიების გათამაშება, რამაც დააზუსტა გუნდების მდგომარეობა ყველა ნახევარფინალურ ჯგუფში. პირველი ჯგუფი: სსრ კავშირი — 8 ქულა რვაში, ჰოლანდია — 5,5, ავსტრია და ისლანდია — 4,5 თვითეულს, ფინეთი — 1, საბერძნეთი — 0,5.

მეორე ჯგუფი: ბულგარეთი და ჩეხოსლოვაკია ექვს-ექვსი ქულა რვაში; არგენტინა და კანადა — 5, იტალია — 1,5, ირლანდია — 0,5.

მესამე ჯგუფი: შვეიცია — 8,5 თორმეტში, საფრანგეთი — 6 და 1 გადადებული პარტია, ნორვეგია — 5,5 და ერთი გადადებული პარტია, იუგოსლავია — 5 რვაში, ისრაელი — 4,5 რვაში, დანია — 3,5 რვაში, საარის ოლქი — 2 თორმეტში.

მეოთხე ჯგუფი: უნგრეთი — 10 თორმეტში, ბელგია — 6,5 თორმეტში, დასავლეთი გერმანია — 6 რვაში, კოლუმბია — 6 თორმეტში, ინგლისი — 4 რვაში, შვეიცარია — 2,5 რვაში და ლუქსემბურგი — 1 თორმეტში.

7 სექტემბერს საღამოს გათამაშდა მესამე ტური. საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა ავსტრიელ მოკადრაკეებს. გათამაშდა შემდეგი პარტიები: სმისლოვ-რობაჩი, ბენი-ბრონშტეინი, კერეს-პრომესპუბერი, ლოკვენჩ-გელერი.

სინხუას საგენტოს ცნობა

პეკინი, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა ფუნინინიდან გადმოსცა:

როგორც ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილების შტაბის წარმომადგენელმა განაცხადა, ჩინელ სახალხო მოხალისეთა სარდალი გენერალი პინ დე-ხუეი გადადგა. სარდლად დანიშნულია გენერალი დენ ხუა, ხოლო გენერლები იან-დე-ძი და იან იუნი სარდლის მოადგილეები არიან.

წარმომადგენელმა აგრეთვე განაცხადა, რომ ჩინელ სახალხო მოხალისეთა შტაბი სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში კორეიდან გამოიყვანს ჩინელ სახალხო მოხალისეთა შვიდ დივიზიას.

გომინდანელთა ახალი პროვოკაციები

პეკინი, 8 სექტემბერი. (საკ.ინ.). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, 7 სექტემბერს ჩანკაიშელთა 42 თვითმფრინავი თავს დაესხა ქალაქ ამოის. გარდა ამისა, თავდასხმა მოხდა შიგენცუნზე ძინ-ძიანისა და უპუს სამხრეთით. შიგენცუნში დაინგრა რამდენიმე შენობა, მოკლულია 4 და დაჭრილია 2 კაცი. უპუში დაიჭრა 2 კაცი.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა ჩამოაგდეს 3 თვითმფრინავი და დაზიანეს 20 თვითმფრინავი.

ავიაციის თავდასხმასთან ერთად ჩანკაიშელთა 5 სამხედრო ხომალდმა და კუნძულ კუემოიზე (ძინმინდაო) მყოფმა ჩანკაიშელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინეს ქალაქ ამოის.

7 სექტემბერს ჩანკაიშელთა თვითმფრინავები შემოვჭრნენ აგრეთვე კუნძულ პინტანის, აგრეთვე ქალაქების სიანიუსა და ფუჯოუს (ფუძიანის პროვინცია) საჰაერო სივრცეში.

სამხრეთ ვიეტნამში შერეული კომისიის სხდომაზე

შანხაი, 7 სექტემბერი. (საკ.ინ.). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, რომ 31 აგვისტოს შერეული კომისიის სხდომაზე სამხრეთ ვიეტნამში ვიეტნამის სახალხო არმიის სარდლობის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზედამოწმენნი სარდლება ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და დროზე განხორციელდა ვიეტნამის სახალხო არმიის ჯარების გადაჯგუფება. ამასთან ერთად მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ საფრანგეთის კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა სამხრეთ ვიეტნამში რამდენჯერმე დაარღვიეს შეთანხმება დაზავების შესახებ.

შემდეგ სამხრეთ ვიეტნამში ვიეტნამის სახალხო არმიის სარდლობის წინადადებით ორივე მხარემ დადო შეთანხმება, რომელიც ავალებს მათ უზრუნველყონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ბრძანების ზუსტი შესრულება, რათა გარანტირებულ იქნას მოსახლეობის უშიშროება და მშვიდობიან პირობებში ცხოვრების უფლება.

შეთანხმება ითვალისწინებს აიკრძალოს ყოველგვარი შეიარაღებული მოქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მოსახლეობის ინტერესებს, სავსებით უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის თავისუფლება და დემოკრატიული უფლებანი, სიცოცხლისა და ქონების დაცვა.

აგრეთვე შეთანხმებულ იქნა, რომ თვითეული მხარის კომპეტენტურ ხელისუფალთ სრული უფლება აქვთ თავიანთ რწმუნებათა ფარგლებში დასაჯონ ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს ისეთი აქტები, რაც ზიანს აყენებს ჟენევის შეთანხმებათა განხორციელებას, მოსახლეობის მშვიდობას, თავისუფლებასა და დემოკრატიულ უფლებებს.

ეს შეთანხმება, ნათქვამია ცნობაში, შემდგომი პროგრესია დაზავების შესახებ შეთანხმების განხორციელებაში.

კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს წევრის განცხადება

ლონდონი, 6 სექტემბერი. (საკ.ინ.). ცნობას იმის შესახებ, რომ სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა წერილი გამოუგზავნა ქალაქ კოვენტრის ლორდ-მერს ჩაციდეს სტალინგრადში, კოვენტრში დიდი ქმაყოფილებით შეხვდნენ.

„ტაიმსის“ კორესპონდენტი კოვენტრიდან უწყობა, რომ ამ მიწვევასთან დაკავშირებით კოვენტრის მუნიციპალური საბჭოს ლეიბორისტული უმრავლესობის ლიდერმა სტრინგერმა განაცხადა: „დიდი სიხარულით გავიგე, რომ რუსებმა გამოგზავნეს ეს მიწვევა. ჩვენ მუდამ ამედი გვქონდა, რომ ომის დროს არსებულ მეგობრობას ჩვენს ორ ქალაქს შორის მშვიდობიან დროს კოვენტრისა და სტალინგრადის მტკიცე ურთიერთობა მოჰყვებოდა“.

სტრინგერმა განაცხადა, რომ სტალინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიწვევა განხილულ იქნება კოვენტრისა და სტალინგრადს შორის მეგობრული ურთიერთობის კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე.

ტბა რიწა

ლექციები საზაფხულო იალაღებზე

განძის ხევის მთის საზაფხულო იალაღებზეა სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკიანის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმა. ამის წინათ იალაღებზე ამოვიდა საქართველოს სსრ პოლიტკაჟრი და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი ი. გველესიანი, რომელმაც ფერმის მუშაკებისათვის წაკითხა ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადწყვეტილებანი და მეცხოველეთა ამოცანები“. ლექტორი ფერმის მუშაკებს ესაუბრა აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე.

ლექციამ მეცხოველეთა დიდი ქმაყოფილება გამოიწვია.

სავაჭრო ქსელის გაფართოება

ბორჯომი. (საკ.კორ.). ბორჯომის რაიკოოპერატივმა წელს მნიშვნელოვნად გააფართოვა სავაჭრო ქსელი. ბორჯომის საკოლმეურნეო ბაზრში გახსნა ბოსტეულისა და ხილის პროდუქტების საკომისიო სავაჭრო ფარდული. დაბა წაღვერში მოეწყო ახალი კაფე-პავილიონი, გაიხსნა სურსათის, გამაგრილებელი წყლების კიოსკი, პურის სპეციალიზებული მაღაზია, შერეული საქონლის სავაჭრო ფარდული.

შერეული საქონლის სავაჭრო ფარდულები გაიხსნა აგრეთვე სოფლებში: დიდ მიტარბში, ქვაბისხევში, დაბაში, ლიკანში, პატარა ცემში და სხვ.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში

მოსკოვი. 8 სექტემბერი. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ შვეიცარია და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა 4:0 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ მათ კიდევ სამი ბურთი გაიტანეს სტუმრების კარში და ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 7:0.

შეხვედრა პროფესორ ბ. ს. მეილახთან

ამ დღეებში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ მოაწყო ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტებს შეხვედრა ლენინგრადის ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ცნობილ პროფესორთან, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ, სტალინური პრემიის ლაურეატ ბორის სოლომონის-ძე მეილახთან.

სტუდენტთა სახელით პროფესორ ბ. ს. მეილახს გულთბილად მიესალმა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების IV კურსის სტუდენტი ი. ბოგომოლოვი. შემდეგ სიტყვით მიმართა პროფესორი ბ. მეილახი, რომელიც დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მორიგ ამოცანებზე და დამსწრეებს დიდი მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

ფილმების დუბლირება

ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს თბილისის კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ პავილიონებში. აქ წარმოებს მხატვრული, დოკუმენტალური, მულტიპლიკაციური ფილმების შექმნა, აგრეთვე კინოსურათების ეუბლირება: როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე.

უკვე დამთავრდა ქართულიდან რუსულ ენაზე ფილმ „ჩრიჭინას“ დუბლირება. ფილმი დადგა რეჟისორმა ს. დოლიძემ. გაზმოინებაზე მუშაობდნენ მოსკოვის კინომსახიობის თეატრ-სტუდიის მსახიობები.

ქართულიდან რუსულ ენაზე დუბლირებულ იქნა მულტიპლიკაციური ფერადი ნახატი ფილმი „მზეკაბუკი“. მალე საბავშვო ფილმი გამოვა ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე.

სადუბლიაჟო ფილმების განყოფილება აწარმოებს კინოსურათების „სიმშვიფის ატესტატის“ და „სისხლის საიდუმლოების“ დუბლირებას ქართულ ენაზე.

სოფლის მეურნეობის მუშაკების დასახმარებლად ქართულ ენაზე დუბლირებულ იქნა მეცნიერულ-პოპულარული ფილმები „ყუბანის მარდვრებში“, „მრავალწლიანი ბალახი“, „მცენარეთა ზრდა და განვითარება“ და სხვა მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაკიკიძე.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები ხელს უწყობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებას

1954 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მოგებათა მორიგი 24-ე ტირაჟი.

ყოველ ათას ანგარიშზე ტირაჟში გათამაშდება 25 მოგება, მათ შორის: ერთი მოგება ანაბრის განვლილი ნახევარი წლის საშუალო ნაშთის 200 პროცენტის ოდენობით, ორი მოგება თითო 100 პროცენტის ოდენობით და ოცდაორი მოგება თითო 50 პროცენტის ოდენობით.

რაც უფრო დიდია ანაბრების თანხა და რაც უფრო მეტ ხანს ინახება შემნახველ სალაროში, მით უფრო დიდია მოგების თანხა.

მომგებიანი ანაბრებიანი ანგარიშები, რომლებიც დახურულია ტირაჟის ჩატარებამდე, მოგებათა ტირაჟში არ მონაწილეობენ.

მომგებიან ანაბრებს იღებს ყველა შემნახველი სალარო.

ყველა მოქალაქეს შეუძლია ერთ ან რამდენიმე შემნახველ სალაროში იქონიოს მომგებიანი ანაბრების ანგარიშები განუსაზღვრელი რაოდენობით.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისადმი მინდობილი ფულადი თანხებისა და ფასეულობის დაცულობა გარანტირებულია სსრ კავშირის მთავრობის მიერ.

შეიტანეთ ფული მომგებიან ანაბრებზე შემნახველ სალაროებში!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

მოქალაქე **თამარ ვასილის ასულმა მოსაშვილმა**, მცხოვრებმა ქ. თბილისში, კლარა ცეტკინის ქ. № 7, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ირაკლი ნიკოლოზის-ძე მერაბიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე გოგოშა, შვილები იური, ნანული, რძალი თინა შანიძე, შვილიშვილები მანანა, თამარ, ძმა იონა, და ვერა, სიძე გიორგი ბერულავა იუწყებიან **სევერიანე გრიგოლის-ძე ახალაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-IX, 5 ს. ქ. სამტრედიაში, გორკის მესამე შესახვევი № 14.

მშობლები თარასხან, ოლია, ძმა ზურაბ, და მაგული, ბაბუა მიხეილ, ბებია ლეონე, მამიდები თამარ, ლიზა. ალექსანდრა, ბიძა გიორგი ზედანიები ოჯახებით იუწყებიან **ზაურ თარასხანის-ძე ზედანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IX, სოფ. ბანძაში.

დედა პელო, შვილები რუსლან, რუსუდან, ძმები შაქრო, ვალერიან, შურა ოჯახებით იუწყებიან **თინა სერგოს ასულ დოლიძის** გარდაცვალებას. ბანაშვილი 9, 10, 11-IX, 7 ს. გამოსვენება 12-IX, 3 ს. კამოს ქ. № 30.

ბიძაშვილები: ვარლამ ქაჯაია, სერგი და პარეინ ჯიქიები ოჯახებით იუწყებიან **იოსებ ბესარიონის-ძე ჯიქიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-IX, სოფ. ბანძაში (გეგეჭკორის რ.).

შვილი ნინო, და ევგენია რუხაძე, ძმები ირაკლი, ონისიმე, მიხეილ ქაცარავები, ს